ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

ოთხშაბათი, 13 სექტემბერი, 2023 №180 (9216) ფასი: 80 თეთრი

სვეტიცხოვლის ეზოში ნარკოტიკების სამალავები ნახეს

გვ.3

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვის ებრძვის მელია ნაციონალებში?!

გვ.2

„პარლამენტში ჩვენი პარტიიდან ნამდვილად არიან ადამიანები, ვისი ვაჭრობაც „ქართულ ოცნებასთან“ არ გამიკვირდება“

ეროვნული ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგიდან ამოღებულია

დიმიტრი ბიძინაშვილი: „ნაციონალებში ის ადამიანები მოჰყავთ, ვინც 2012 წლის მერე, ყოველ წელს პარტიას ღალატობდნენ“

ლევან ალაფიშვილი: „ფუფუნების მოყვარული ხელისუფლება არ შეიძლება სიმპათიებს იწვევდეს პენსიონერებში, რომლებსაც ხშირად წამლის ფული არ აქვთ“

გვ.3

„ოპოზიციას „ქართულ ოცნებაზე“ ზეწოლის ბერკეტი უკვე აქვს“

პრეზიდენტს იმპიჩმენტს ვერ მოუწყობენ!

პეტრე მამრაძე: „სალომეს, როგორც პრეზიდენტს, ბევრი რამის თქმა ევალებოდა, მაგრამ არ ამბობს არც საჯაროდ, არც ვიზიტების დროს“

გვ.4

დავით მათიკაშვილი: „პრეზიდენტი და რადიკალური ოპოზიცია ერთ ნავში სხედან და ერთი მიმართულებით ცურავენ“ გვ.2

„საქართველოსა და სომხეთში დასავლეთის გავლენა თითქმის არ იგრძნობა“

გვ.4

„თბილისის ქუჩებში რომ გაიაროთ, პირველ რიგში, რუსულად საუბარს გაიგონებთ“

ქართველმა მოჭადრაკე ქალებმა მსოფლიო დაიპყრეს

გვ.7

2 მიხეილ სააკაშვილი: „რა მოხდება, თუ უკრაინა ახლა ზავის შესახებ გამოაცხადებს?“

3 კახა კალაძე: კუბილიუსი ქვეყნის უფროსი ვერ იქნება, მისი მსგავსი ტიპაჟები საქართველოს მტრები არიან

7 კახი ასანიძე დოპინგზე ჩავარდა

6 რა გავლენას იქონიებს ამინდი უკრაინელთა კონტრშეტევაზე?

1993230720223

ვის ებრძვის მელია ნაციონალებში?

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ნაცმოძრაობის წევრი დიმიტრი ბიძინაშვილი პასუხობს.

დიმიტრი ბიძინაშვილი: „ნაციონალებში ის ადამიანები მოჰყავთ, ვინც 2012 წლის მერე, ყოველ წელს პარტიას ღალატობდნენ“

„პარლამენტში ჩვენი პარტიიდან ნამდვილად არიან ადამიანები, ვისი ვაჭრობაც „ქართულ ოცნებასთან“ არ გამიკვირდება“

– დიმიტრი, როგორ აფასებთ ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს? ვხედავთ, როგორი რთული პერიოდია და ვისმენთ შეფასებებს, რომ ოპოზიცია უპასუხისმგებლოდ იქცევა. თუნდაც ის, რაც ნაცმოძრაობაში ხდება. შიდა დაპირისპირებაა, პარტიის გაყოფაზე საუბრობენ, რა ხდება რეალურად?

– რეალურად ნაციონალურ მოძრაობაში ხდება ის, რაც არ უნდა ხდებოდეს და ამდენი წლის წვალება, ამდენი შრომა, ამდენი რეპრესიები, რომელიც დაატყდა მის ამომრჩეველს. ვინც საკუთარი მხრებით მოიტანა ეს პარტია დღემდე, სწორედ მათ საწინააღმდეგოდ ხდება ყველაფერი. ვინც საკუთარ თავზე იწვნია „ქართული ოცნების“ ოლიგარქიული მმართველობა, ამ ადამიანებს ეუბნებიან, რომ წავიდნენ პარტიიდან, რადგან განსხვავებული აზრი აქვთ. სანაცვლოდ. მოჰყავთ ის ადამიანები, რომლებიც, 2012 წლის მერე, ყოველ წელს ღალატობდნენ პარტიას. აი, ასეთ ადამიანებს ეყრდნობიან და ფიქრობენ, რომ ეს იქნება გამარჯვების ფორმულა, რაც, რა თქმა უნდა, არასწორია. ჩრდილოვანი მმართველობა უნდათ. ამას უბრალოდ ჩვენი ამომრჩეველი არ დაუშვებს.

– რას აპირებს ნიკა მელია და მისი გუნდი, მოდის პარტიიდან? საუბარია, რომ ვისაც სააკაშვილის მხარდაჭერა აქვს, სწორედ ის იქნება პარტიის ლიდერი და ხმების უმრავლესობასაც ის მიიღებსო. რა ხდება ამ კუთხით?

– მიხეილ სააკაშვილი დღეს არის პოლიტიკური პატიმარი, ის არის ტყვეობაში. ჩემთვის ყოვლადმიუღებელია, როდესაც მას იყენებენ საკუთარი პოლიტიკური მიზნებისთვის, იმის მაგივრად, რომ ის დაპირება განახორციელონ, რაც გასცეს პარტიის შიდა არჩევნების დროს. ვისმენდით განცხადებებს, რომ მიხეილ სააკაშვილს ფიზიკურად დაიხსნიდნენ. შესრულდა ეს დანაპირები?!

– პარტია საერთოდ ხმას აღარ იღებს სააკაშვილზე.

– კი, ასეა. ამის შესრულებას ეს ადამიანები არც აპირებენ. მათი მიზანი იყო სულ სხვა და ამ მიზანს ვუყურებთ ახლა.

– რაა მათი მიზანი?

– ის, რომ მოემზადონ არჩევნებისთვის და შემდეგ მანდატები მიიღონ. ამ მანდატებს როგორც იყენებენ, ყველანი კარგად ვხედავთ.

– რას აპირებს ნიკა მელია?

– ნიკა მელიას პარტიის შიგნით ისევ მაღალი რეიტინგი აქვს. ჯერჯერობით, ნიკა მელიასა და მის გუნდს გადაწყვეტილება მიღებული არ აქვთ, რას იზამენ. ბევრის სურვილი კი არის, მელია პარტიიდან წავიდეს, თუმცა, ჩვენ ჯერ ვცდილობთ, გამოვძებნოთ გზები, რითაც შიგნით დავამარცხებთ ჩრდილოვან მმართველობას. ვნახოთ, საზოგადოების მხრიდან, ჩვენი ამომრჩევლის მხრიდან რა დაკვეთა იქნება. თუ იქნება დაკვეთა, რომ მელია უნდა წამოვიდეს, შესაძლოა გადავდგათ ეს ნაბიჯი.

– დიმიტრი, ყველასთვის ცნობილია, რომ ხელისუფლება პრეზიდენტის იმპიჩმენტის საკითხს განიხილავს აქტიურად. ბოლო დღეებია გამოდის ინფორმაცია, რომ ნაცმოძრაობის დეპუტატები აპირებენ, მხარი დაუჭირონ პრეზიდენტის იმპიჩმენტს და დაეხმარონ „ოცნებას“ ამ პრობლემის მოგვარებაში. რამდენად უშვებთ, რომ შესაძლოა ეს ვაჭრობა შედგეს ნაცებსა და ქოცებს შორის? ან რის სანაცვლოდ?

– პარლამენტში ჩვენი პარტიიდან ნამდვილად არიან ადამიანები, ვისი ვაჭრობაც „ქართულ ოცნებასთან“ არ გამიკვირდება. თუმცა, აქ მეორე ფაქტორიც არის, ადამიანი, რომელიც „ქართულ ოცნებასთან“ შევა ამ ვაჭრობაში, მასთან ერთად მიიღებს გადაწყვეტილებას და მხარს დაუჭერს სალომე ზურაბიშვილის იმპიჩმენტს, მისი პოლიტიკური კარიერა მაშინვე დასრულდება, დააჭერს თუ არა ხელს ხმის მიცემის ღილაკს!

– ანუ არ გამორიცხავთ, რომ ასეთებიც მოიძებნებიან პარტიაში?

– არაფერია გამორიცხული. ჩვენ ვნახეთ, მოსამართლეების დანიშვნაზე რა მოხდა. ამიტომ არაფრის გამორიცხვა შეიძლება. თუმცა, არც ის მგონია, არ ეყოთ იმდენი აზრი და ჭკუა, რომ ამის გაკეთება არის პოლიტიკურად დამღუპველი. ახლა სალომე ზურაბიშვილი ვინმეს მოსწონს-არმოსწონს ეს მეორე საკითხია, თუმცა, დღეს პრეზიდენტის იმპიჩმენტი და მისი გადაყენება, პოლიტიკურად არასწორი ნაბიჯია. ნაცმოძრაობიდან ვინც ამას მხარს დაუჭერს, ის პოლიტიკურად დასრულდება, თუმცა, ამავდროულად, დიდ ზიანს მოუტანს პარტიასაც.

– რამდენად დააზიანებს ქვეყანას პრეზიდენტის იმპიჩმენტი? განსაკუთრებით ახლა, როდესაც კანდიდატის სტატუსს ველოდებით? რა უნდა „ოცნებას“?

– რეალურად „ოცნებას“ უნდა ის, რომ კანდიდატის სტატუსი არ მივიღოთ. აი, ეს არის რეალობა და ამის არაერთი მაგალითი და ნაბიჯი არსებობს „ქართული ოცნების“, რომელიც მან გადადგა ამ ყველაზე მნიშვნელოვან პერიოდში. ასე ახლოს ევროკავშირთან აქამდე არ ვყოფილვართ. ამ დროს ხელისუფლება რას აკეთებს? იღებენ რუსულ კანონებს, დაფრინავენ ჩინეთში, რაღაც სტრატეგიულ პარტნიორობაზე გველაპარაკებიან, მაშინ, როდესაც დასავლეთს დაძაბული ურთიერთობა აქვს ჩინეთთან და ახლა უკვე ითხოვენ პრეზიდენტის იმპიჩმენტს და არ ასრულებენ იმ 12-პუნქტიან გეგმას, რომელიც შესასრულებელი გვაქვს. ეს ყველაფერი არა მარტო მაფიქრებინებს, მარწმუნებს იმაში, რომ „ქართულ ოცნებას“ არ სურს, ევროკავშირის კანდიდატის სტატუსი მივიღოთ.

– თქვენთვისაც ცნობილია, რომ ოპოზიციის ერთი ნაწილი პრემიერ-მინისტრის იმპიჩმენტს ითხოვს, მეორე ნაწილი კი ფიქრობს, რა აზრი აქვს ღარიბაშვილის იმპიჩმენტს, თუკი ივანიშვილი მას სხვა ღარიბაშვილით ჩაანაცვლებს. რამდენად დაარღვია ღარიბაშვილმა კანონი და არის თუ არა იმის მოლოდინი, მან აიღოს პოლიტიკური პასუხისმგებლობა და წავიდეს?

– პოლიტიკური პასუხისმგებლობის აღებას ახლა ჩვენ ნამდვილად არ ველოდებით ღარიბაშვილისგან. ერთადერთი პასუხისმგებლობა მას აღებული აქვს ბიძინა ივანიშვილთან და ბიძინა ივანიშვილი თუ ეტყვის, იმ შემთხვევაში წავა. თუ ვინმემ უნდა გადაწყვიტოს ღარიბაშვილის ყოფნა-არყოფნის საკითხი, ეს არის ბიძინა ივანიშვილი. რა თქმა უნდა, პრემიერმა დაარღვია კანონი. რისთვის იჯდა ნიკა გვარამია ციხეში? აბსოლუტურად წარმოუდგენელი ბრალდებით. ვითომ კომპანიის კუთვნილი ავტომობილით მისი ოჯახის წევრები გადაადგილდებოდნენ. ღარიბაშვილმა კი გამოიყენა სახელმწიფოს ბალანსზე მყოფი თვითმფრინავი, რომელიც განკუთვნილია მაღალი შეხვედრებისთვის და რომელმაც უნდა შეასრულოს რეისები მხოლოდ სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე. ამ ადამიანმა კი საკუთარი შვილი წაიყვანა ჯერ გერმანიაში და მერე იქედან გადაფრინდა ამერიკაში. ამ თვითმფრინავს არ შეუძლია პირდაპირ ამერიკაში ჩასვლა და მხოლოდ ეს იყო ერთადერთი მიზეზი, რის გამოც პირდაპირ ამერიკაში არ გაფრინდა.

– ეს ყველაფერი საკუთარი ხარჯებით დაფარაო.

– თუ ასეა, მაშინ ის გვითხრას, საიდან ჰქონდა ღარიბაშვილს ეს თანხები.

– მამამ დაფარა ყველა ხარჯი, ამტკიცებენ „ოცნებაში“.

– კარგით რა! ან მამას საიდან აქვს ამდენი? სახელმწიფოს თვითმფრინავი რომ იქირავა და იმით წავიდა, ესეც სერიოზული კანონდარღვევაა. რა თანხაც არ უნდა გადავიხადოთ, მე და თქვენ მაგ თვითმფრინავს არავინ გამოგვატანს. კანონი დაირღვა ყველგან და ყველაფერში. ახლა ხდება ისრების აქეთ-იქეთ გადატანა, მამამ გადაუხადა და ასე შემდეგ.

პაატა დავითაია: „კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მიღების ისტორიული შანსი ხელიდან არ უნდა გავუშვათ“

– ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენლის ჯოზეფ ბორელის უმნიშვნელოვანესი ვიზიტი თბილისში, საქართველოსთვის ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსთან დაკავშირებული გადაწყვეტილების წინ და შემდგომ ბრიუსელში გაკეთებული განცხადება, მიანიშნებს, რომ ხელისუფლებამ უმოკლეს დროში უნდა გააკეთოს ყველაფერი, რომ ქვეყანამ ხელიდან არ გაუშვას სტატუსის მოპოვების ისტორიული შანსი, – ამის შესახებ პარტია „ევროპელი დემოკრატების“ თავმჯდომარემ, პაატა დავითაიამ განაცხადა.

როგორც მან აღნიშნა, ძალიან მნიშვნელოვანია, საქართველოს ხელისუფლებამ დარჩენილ პერიოდში ევროკავშირის რეკომენდაციები შეასრულოს.

– ამას ცხადყოფს ის განცხადებები, რაც გაკეთდა ჯოზეფ ბორელის მიერ, მისი უმნიშვნელოვანესი ვიზიტის დროს თბილისში და შემდგომ უკვე ბრიუსელში. ცხადია, რომ ევროკავშირში საქართველოსთან დაკავშირებით არსებობს ბევრი კითხვის ნიშანი, რეკომენდაციებზე, რომელიც არის არა ევროკავშირის იძულება, არამედ ევროპულ ოჯახში თანაარსებობის წესები. ჩვენ არ უნდა გავუშვათ ხელიდან კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მიღების ისტორიული შანსი.

დარწმუნებული ვარ, სტატუსის მიღების შემთხვევაში დიალოგის დაწყება ევროკავშირში გასაწევრიანებლად სწრაფ რეჟიმში მოხდება, ამიტომ მნიშვნელოვანია შევინარჩუნოთ ინტერესი და კეთილგანწყობა ევროკავშირის მხრიდან იმ ფონზე, როდესაც ოქტომბრის ბოლოს ქვეყანა მნიშვნელოვან გადაწყვეტილებაზე ანგარიშს ელის.

ხელისუფლებამ უნდა გააცნობიეროს, რომ პროცესზე მთელი პასუხისმგებლობა მას ეკისრება და იმ შემთხვევაში, თუ ქვეყანა სტატუსის გარეშე დარჩება, ამით ისარგებლებს ოკუპანტი ქვეყანა – რუსეთი. ქვეყნის უსაფრთხოებისა და სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე, ხელისუფლების მხრიდან ყველაფერი უნდა გაკეთდეს კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მისაღებად, – აცხადებს პაატა დავითაია, რომლის კომენტარსაც „ევროპელი დემოკრატები“ ავრცელებს.

მიხეილ სააკაშვილი: „რა მოხდება, თუ უკრაინა ახლა ზავის შესახებ გამოაცხადებს?“

– რა მოხდება, თუ უკრაინა ახლა ზავის შესახებ გამოაცხადებს? – პუტინი აუცილებლად შეიჭრება პოლონეთსა და ბალტიის ქვეყნებში, ხოლო საქართველოსა და მოლდოვას უბრალოდ გადაყლაპავს, – ამის შესახებ საქართველოს მესამე პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი უკრაინულ გამოცემა „უკრაინსკაი პრავდაში“ გამოქვეყნებულ სტატიაში წერს.

– საქართველოში ვარდების რევოლუციისა და უკრაინაში ნარინჯისფერი რევოლუციის შემდეგ პუტინმა სასიკვდილო საფრთხე იგრძნო. იუშჩენკო მოწამლა და თავისი ჯარის მობილიზება მოახდინა.□

რუსული სამხედრო მანქანის შემდეგი შემადგენელი ნაწილი მეხუთე კოლონაა, რომლებიც მედვედჩუკისა და ივანიშვილის, შორისა და პლახოტნიუკის მსგავს ადამიანებს მოიცავს. მათი მიზანია, რუსული და ადგილზე მოპარული ფულის გამოყენებით ძალაუფლება დაიკავონ. საქართველოში ივანიშვილის წყალობით მათ ეს გამოუვიდათ...

სწორედ ეს მეხუთე კოლონა ადანაშაულებდა საქართველოს 2008 წელს რუსეთის პროვოცირებაში და უკრაინას იმაში, რომ მან თავად გამოიწვია ყირიმი და მაიდანი 2014 წელს.

რა მოხდება, თუ უკრაინა ახლა ზავის შესახებ გამოაცხადებს? მოხდება ის, რომ ერთ-ორ წელიწადში უკრაინა აუცილებლად დაეცემა და პუტინი აუცილებლად შეიჭრება პოლონეთსა და ბალტიის ქვეყნებში, ხოლო საქართველოსა და მოლდოვას ის უბრალოდ, ამის მსვლელობისას, გადაყლაპავს, პრაქტიკულად რამე მნიშვნელოვანი ძალდატანების გარეშე, – წერს სააკაშვილი.

დავით მათიკაშვილი: „პრეზიდენტი და რადიკალური ოპოზიცია ერთ ნავში სხედან და ერთი მიმართულებით ცურავენ“

– პრეზიდენტი და რადიკალური ოპოზიცია ერთ ნავში სხედან და ერთი მიმართულებით ცურავენ, რომელსაც საქართველოსთვის ევროკავშირის სტატუსის არმინიჭება ჰქვია, – ამის შესახებ ჟურნალისტებთან საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა, დავით მათიკაშვილმა განაცხადა, რითაც პრეზიდენტის ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებთან შეხვედრებს გამოეხმაურა.

მისივე თქმით, ალიანსი იქმნება ოპოზიციის წიაღში, სადაც საქართველოს პრეზიდენტი მოიაზრება.

სამწუხაროა, რომ პრეზიდენტი მხარდამჭერებსა და მომხრეებს ეძებს არა საკუთარ ამომრჩეველში. პირიქით, მოკავშირეებისა და მხარდამჭერთა ალიანსი იქმნება რადიკალური ოპოზიციის წიაღში, სადაც საქართველოს პრეზიდენტი მოიაზრება, ეს არის ძალიან სამწუხარო ფაქტი.

პრეზიდენტის ქმედება და ნაბიჯები რადიკალურ ოპოზიციასთან მიმართებით საზოგადოებას აძლევს სურათს, რომ რადიკალური ოპოზიცია, კოლექტიური „ნაცმოძრაობა“, ასევე, პრეზიდენტი ერთ ნავში სხედან და ერთი მიმართულებით ცურავენ, რომელსაც ჰქვია საქართველოსთვის ევროკავშირის სტატუსის არმინიჭება და ჩვენი ქვეყნისთვის ამ კუთხით ევროპულ გზაზე დაბრკოლებების შექმნა, – განაცხადა მათიკაშვილმა.

ISSN 1987-9385

ახალი თაობა

გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეკერაშვილი

ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ოპოზიციას „ქართულ ოცნებაზე“ ზეწოლის ბერკეტი უკვე აქვს“

ლევან ალაფიშვილი: „ფუფუნების მოყვარული ხელისუფლება არ შეიძლება სიმპათიებს იწვევდეს პენსიონერებში, რომლებსაც ხშირად წამლის ფული არ აქვთ“

ნათია ხურცილავა

კონსტიტუციონალისტი ლევან ალაფიშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო ლევან, მას შემდეგ, რაც ანზორ ჩუბინიძემ განაცხადა, პრემიერის მიუნხენში გაფრენის ხარჯები პრემიერის მამამ, ტარიელ ღარიბაშვილმა დაფარა, ოპოზიცია კორუფციაზე საუბრობს. წინასაარჩევნოდ „ქართულ ოცნებას“ რამდენად შეიძლება რეპუტაციული ზიანი მიადგეს?

– ეს სკანდალი, რომელიც საზოგადოებისთვის ცნობილი გახდა, ყველა თავისი შემადგენლობით, ნამდვილად მიაყენებს „ქართულ ოცნებას“ სერიოზულ რეპუტაციულ ზიანს.

პირველ რიგში, ეს სკანდალი ხელისუფლებას ზიანს მათივე მხარდამჭერებში მიაყენებს. ოპოზიციურად განწყობილი ამომრჩევლისთვის ეს ხელისუფლებაც და ეს პრემიერიც, ისედაც მიუღებელია. ამიტომ „ქართული ოცნების“ ამომრჩეველში, რომელიც ამ ქვეყნაში ცხოვრობს და რომელსაც სერიოზული ფინანსური, საყოფაცხოვრებო პრობლემები აქვს და რომელსაც არ ულხინს, ნამდვილად გამოიწვევს აღშფოთებას. ფუფუნების მოყვარული ხელისუფლება არ შეიძლება სიმპათიებს იწვევდეს თუნდაც იმ პენსიონრებში, რომლებსაც, ხშირ შემთხვევაში, წამლის ფული არ აქვთ. ძალიან რთულად სარწმუნო იქნება მათთვის, რომ პრემიერის პენსიონერმა მამამ შეძლო ამ თანხის გადახდა.

მეორე საკითხი: მთელი ამ ხნის მანძილზე ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაცია ვრცელდება. ეს არ არის ნორმალური. როგორც ჩანს, მაინც მოულოდნელი იყო ინფორმაციის გაჟონვა. არ ელოდნენ და მზადაც არ აღმოჩნდნენ.

თავის დროზე, ირაკლი ღარიბაშვილი პრემიერის თანამდებობიდან თავად ივანიშვილმა სწორედ კორუფციის გამო გადააყენა. ე.წ. კახური კლანის არსებობის შესახებ მაშინ ყველამ იცოდა. ეს ინფორმაცია ივანიშვილამდეც მივიდა. ალბათ, კარგად გახსოვთ, მაშინდელმა ადმინისტრაციის უფროსმა როგორ უთხრა ღარიბაშვილს, რომ ის პრემიერის პოსტიდან გადაყენებული იყო, თავად კი არაფერი იცოდა, რადგან საზოგადოებას ახალი წელი მიულოცა და არცერთი სიტყვა არ დაცდენია გადადგომის შესახებ.

– შეიძლება მოვლენები ასე განვითარდეს?

– არაფერს გამოვრიცხავ. მით უფრო, წინ არჩევნებია. ეს არ არის ჩვეულებრივი არჩევნები, სადაც ყველაფერი ისედაც გადაწყვეტილი და ცნობილია. ძალიან სერიოზული არჩევნები გველოდება 2024 წელს. ისეთ სიდუხჭირეში, ისეთ სიღარიბეში, რომელშიც ხალხი იმყოფება, კორუფციის შესახებ ინფორმაცია აუცილებლად იქონიებს გავლენას „ქართული ოცნების“ რეიტინგზე.

ღარიბაშვილს ამ რეპუტაციით გაუჭირდება „ქართული ოცნების“ ლოკომოტივი გახდეს და არჩევნებამდე მიიყვანოს. არ გამოვრიცხავ, ახალი წლისთვის ან ადრე გაზაფხულისთვის ის შეცვალონ. ყველა ნორმალურ, დემოკრატიულ ქვეყანაში ასეთ დროს პრემიერი უნდა გადადგეს თანამდებობიდან.

– გამოდის „ქართულ ოცნებას“ წინასაარჩევნოდ გარკვეული მანევრი დასჭირდება?

– აუცილებლად! თუ დღის წესრიგიდან არ ჩამოვიდა საკითხი და ოპოზიცია მის აქტუალიზაციას შეძლებს. თან კორუფციის საკითხი არ არის მხოლოდ საშინაო პოლიტიკისთვის აქტუალური და მნიშვნელოვანი. ეს არის საკითხი, რომელზეც არის დამოკიდებული საქართველოს შემდგომი ურთიერთობის ხარისხი ევროკავშირთან. სტატუსის მიღება-არმიღების საქმეშიც კორუფცია არის ერთ-ერთი წამყვანი თემა.

როდესაც, დღედღეზე ევროკავშირისგან დასკვნას ველოდებით, ამ დროს პრემიერის შესაძლო კორუფცია მთლად კარგად არ გამოიყურება.

– თქვენ თემის აქტუალიზაციაზე მიანიშნეთ. ოპოზიციას იმპიჩმენტის პროცედურისთვის 50 ხმა არ აქვს. წაგებული თამაშის დაწყება რამდენად მომგებიანია ოპოზიციისთვის?

– ოპოზიციის უმთავრესი ფუნქცია, როლი ხომ კრიტიკაა – ხელისუფლების დასაბუთებული კრიტიკა. ოპოზიციას შეუძლია, იმპიჩმენტის პროცედურის გარდა, სხვა დემოკრატიული მეთოდებით გააკეთოს ეს.

– მაგალითად?

– დასვას სადეპუტატო შეკითხვები. მოახდინოს კანონპროექტების ინიცირება. იმპიჩმენტის პროცედურის დაწყებამდე, ასევე შეუძლიათ, პარლამენტში დროებითი საგამოძიებო კომისია შექმნან ამ საკითხზე. პარლამენტს გარეთ კი შეიძლება ქუჩის პროტესტი და მოთხოვნა, დადგინდეს რეალური ფაქტები, ვინ გადაიხადა ბორტი ნომერი პირველის დაქირავებაში ფული. ეს ის საკითხია, რომელიც ოპოზიციის ხელში ნამდვილად არის „ქართულ ოცნებაზე“ ეფექტიანი ზეწოლის ბერკეტი. რამდენად გამოიყენებს, ეს უკვე მასზეა დამოკიდებული.

კახა კალაძე: კუბილიუსი ქვეყნის უფროსი ვერ იქნება, მისი მსგავსი ტიპაჟები საქართველოს მტრები არიან

– უპირველესად, თანამდებობის პირები და პოლიტიკოსები უნდა სცემდნენ პატივს ქვეყანას, კონსტიტუციასა და კანონს, როდესაც თანამდებობის პირი არღვევს მას, ეს ძალიან მძიმე, სამწუხარო და გულდასაწყვეტია, – ამის შესახებ „ქართული ოცნების“ გენერალურმა მდივანმა, კახა კალაძემ ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა.

მისივე განმარტებით, საქართველო სუვერენული სახელმწიფოა და კონსტიტუციის დაცვა ქვეყნისთვის ვალდებულებაა.

– ყველამ ძალიან კარგად უნდა დავიმახსოვროთ ერთი რამ, რომ თანამდებობის პირები, პოლიტიკოსები, ვისაც ძალიან დიდი პასუხისმგებლობა გვაქვს ქვეყნისა და ხალხის წინაშე, პირველები უნდა ვიყოთ, ვინც პატივს სცემს საკუთარ ქვეყანას, საკუთარ კონსტიტუციას, კანონებს, ჩვენი ქვეყნის მოსახლეობას. რა თქმა უნდა, ძალიან მძიმე, სამწუხარო და გულდასაწყვეტია, როდესაც მაღალი თანამდებობის პირი, რომელსაც კონსტიტუციის დაცვა პირველს ევალება, გამოდის და არღვევს მას.

მე ბატონი ბორელის მესმის, მაგრამ ჩვენ ვართ სუვერენული სახელმწიფო და კონსტიტუციისა და კანონების პატივისცემა ძალიან მნიშვნელოვანია და ვალდებულებაა, – განაცხადა კახა კალაძემ.

კალაძის განმარტებით, დღევანდელი მოცემულობით, პრეზიდენტის იმპიჩმენტის პროცედურის მიყვანა ბოლომდე შეუძლებელია.

– რაც შეეხება იმპიჩმენტის გაგრძელებას, ჩვენ თავიდანვე განვაცხადეთ, რომ მისი ბოლომდე მიყვანა დღევანდელ მოცემულობაში შეუძლებელია, თუმცა, ნაბიჯები გადაიდგა იმისთვის, რომ პატივი ვცეთ ჩვენს კონსტიტუციას, კანონებს და არავის უნდა მიეცეს უფლება, რომ გადააბიჯოს ამ ყველაფერს, –აღნიშნა კალაძემ.

გარდა ამისა, კალაძე ევროკომისიის ვიცე-პრეზიდენტის, ჯოზეფ ბორელის განცხადებასაც გამოეხმაურა, რომლის მიხედვითაც, ქვეყანაში დაწყებული პრეზიდენტის იმპიჩმენტის პროცესი ევროინტეგრაციას აზიანებს. როგორც კალაძემ აღნიშნა, ქვეყნის ევროპულ მომავალს კონსტიტუციისა და კანონის უპატივცემულობა აზიანებს.

– ყველაზე მეტად, რაც ევროპულ მომავალს, ევროინტეგრაციასა და ჩვენი ქვეყნის ხვალინდელ დღეს აზიანებს, შენი ქვეყნის მიმართ უპატივცემულობაა. დამაზიანებელია კონსტიტუციის, კანონის, შენი ქვეყნისა და ხალხის უპატივცემულობა, – აღნიშნავს კახა კალაძე.

ამასთან, როგორც თბილისის მერმა ჟურნალისტებს ევროპარლამენტარ, ანდრიუს კუბილიუსის განცხადებებთან დაკავშირებით დასმული კითხვის საპასუხოდ განუცხადა, „კუბილიუსი ქვეყნის უფროსი ვერ იქნება და მისი მსგავსი ტიპაჟები საქართველოს მტრები არიან“.

– კუბილიუსები და მსგავსი ტიპაჟები, პირდაპირ ვიტყვი, რომ ამ ქვეყნისა და საქართველოს ევროპული მომავლის მტრები არიან. ამ ადამიანებს, კუბილიუსებსა და მსგავს ელემენტებს, საერთოდ არ აინტერესებთ ამ ქვეყნის მომავალი, ჩვენი ევროინტეგრაცია. მათ აქვთ ერთადერთი ინტერესი – ნაციონალური მოძრაობა. კუბილიუსი ვერ იქნება ჩვენი უფროსი, ჩვენი უფროსი ჩვენი მოსახლეობაა, – განაცხადა თბილისის მერმა.

სვეტიცხოვლის ეზოში ნარკოტიკების სამალავები ნახეს

სვეტიცხოვლის ეზოში ნარკოტიკები იყიდებოდა. სამალავები ტაძრის ტერიტორიაზეა ნაპოვნი. სასიკვდილო ნარკოტიკული საშუალებები ისტორიული კომპლექსის ეზოდან უპრეცედენტო სპეცოპერაციის შედეგად ამოიღეს. კოკაინი, ჰეროინი, ალფა-პვპ, ელ-ესდე, მარიხუანას და სხვა სიცოცხლისთვის საშიშ ნივთიერებებს სამართალდამცველებმა სვეტიცხოვლის 9 ლოკაციაზე მიაკვლიეს.

ბრალდებულები ნარკოტიკებს ჯერ ინტერნეტით ყიდდნენ, შემდეგ კლიენტებს ტაძრის სამალავებში უტოვებდნენ. ეს ყველაფერი არ არის. სამალავები ნაპოვნია სასაფლაოებზე, სკვერებსა და პარკებშიც.

დაკავებულებს შორის ერთი უკრაინელი ქალი, რომელიც დანაშაულებრივი სქემის მეთაურია. სწორედ მან უჩვენა სამართალდმაცველებს ადგილები, სადაც ნარკოტიკებს მალავდა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის, თბილისის, მცხეთა-მთიანეთის, აჭარის, გურიის, იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის, ქვემო ქართლის, სამეგრელო-ზემო სვანეთის და კახეთის პოლიციის დეპარტამენტების თანამშრომლებმა, ბოლო პერიოდში ინტენსიურ რეჟიმში ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ნარკოდანაშაულის ბრალდებით 46 პირი დააკავეს, მათ შორის 36 ნარკორეალიზატორია.

აღნიშნულის შესახებ ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა თეიმურაზ კუპატაძემ განაცხადა.

როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროში გამართულ ბრიფინგზე კუპატაძემ აღნიშნა, დაკავებულებს შორის არიან როგორც საქართველოს, ასევე, უკრაინის, რუსეთის, ეგვიპტის, ნიგერიის, ირანის, იემენის და იორდანიის მოქალაქეები.

ნივთმტკიცებად ამოღებულია, სხვადასხვა სახის დიდი და განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალებები: „ჰეროინი“, „მეტადონი“, „ბუპრენორფინი“, „ალფა პვპ“, „ლირიკა“, „კეტამინი“, „მეტამფეტამინი“, „□შ□“, „მარიხუანა“, ნარკოტიკული საშუალების შემცველი მცენარე „კანაფი“.

დანაშაულები 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

პოლიციამ ნარკოტიკების უკანონო გასაღების ბრალდებით დაკავებული პირებისგან, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, რამდენჯერმე განახორციელა ნარკოტიკების საკონტროლო შესყიდვა და აღნიშნული შესყიდვების ფარული აუდიო-ვიდეო ჩაწერა.

ნივთმტკიცებად ამოღებულია, სხვადასხვა სახის დიდი და განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალებები: „ჰეროინი“, „მეტადონი“, „ბუპრენორფინი“, „ალფა პვპ“, „ლირიკა“, „კეტამინი“, „მეტამფეტამინი“, „□შ□“, „მარიხუანა“, ნარკოტიკული საშუალების შემცველი მცენარე „კანაფი“, ასევე, ელექტრო სასწორები და სავარაუდოდ, ნარკოტიკების რეალიზაციის შედეგად მიღებული თანხა.

ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, გენერალურ პროკურატურასთან ერთად ჩატარებული კომპლექსური საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ნარკორეალიზატორთა მოქმედი ორგანიზებული ჯგუფი გამოავლინა და ნარკოდანაშაულის ბრალდებით 3 პირი დააკავა. ორგანიზებული ჯგუფის წევრები იყვნენ უკრაინის და საქართველოს მოქალაქეები.

დაკავებული პირები ნარკოტიკული საშუალებების გასაღების სქემებში იყვნენ ჩართული. კერძოდ, ინტერნეტაპლიკაციის მეშვეობით, შემდგომში რეალიზაციის მიზნით, კონკრეტულ ლოკაციებზე ათავსებდნენ ნარკოტიკულ საშუალებებს, რასაც შესაბამისი აღნიშვნებითა და კოორდინატებით უგზავნიდნენ ნარკოტიკის შეძენით დაინტერესებულ პირებს.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე, 19-260-ე, 261-ე, 263-ე, 265-ე, 273-ე, 273-ე პრიმა და 19-273 პრიმა მუხლებით მიმდინარეობს“, – განაცხადა კუპატაძემ.

ლევან ხაბეიშვილი: „ხალხის მსახურება და არა რუსი ოლიგარქის“

– სტიქიამ გადაუარა გურიას, რამდენიმე საათია აქ ვარ და არცერთი წარმომადგენელი ხელისუფლების მხრიდან აქ არ გამოჩენილა. ხელისუფლება უნდა იყოს ხალხის მსახური და არა რუსი ოლიგარქის, – ამის შესახებ ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარემ, ლევან ხაბეიშვილმა გურიაში, სტიქიის ზონაში განაცხადა.

მისივე თქმით, ყველაზე დიდი ტრაგედიაა ის, რომ ამ სტიქიას შეეწირნენ ადამიანები.

– უმძიმესი მდგომარეობაა გურიაში, რამდენიმე სოფელი მოწყვეტილია რაიონულ ცენტრს. ათობით ოჯახი, მათ შორის ჩოჩხათის თემში, მამათში, ოზურგეთში დარჩენილები არიან გზის გარეშე, რაიონულ ცენტრთან დაკავშირება არ შეუძლიათ. ჩვენდა სამწუხაროდ, ხელისუფლება არ ერთვება ამ ადამიანების პრობლემების მოგვარებაში, როცა თავდაცვის სამინისტროს შეუძლია დროებითი ხიდის აგება.

დროებითი, რადგან ადამიანებს არ უჭირდეთ და პენსიონერებს, ახალგაზრდებს არ უწევდეთ მდინარე და ღელე-ღელე სიარული. უმნიშვნელოვანესია ამ ადამიანების დახმარება, სწრაფი რეაგირება, რადგან ჩვენს მოქალაქეებს გურიაში ყველაზე მეტად სჭირდებათ მზრუნველობა და ყველაზე დიდი ტრაგედიაა ის, რომ ამ სტიქიას შეეწირნენ ადამიანები, შეეწირა მცირეწლოვანი ბავშვი, ვიზიარებ ამ მძიმე რეალობას, რა სურათიც გვაქვს გურიაში. ხელისუფლებამ კარგად იცოდეს, რომ მათი ვალია, ამ 4-5 დღის განმავლობაში, რაც ამ სტიქიამ თავზე გადაუარა ფაქტობრივად გურიას, მთელი დღის განმავლობაში იმუშაონ აქ.

რამდენიმე საათია უკვე აქ ვიმყოფებით, ერთ ტრაქტორს არ გამოუვლია, ხელისუფლების მხრიდან კაცი არ ყოფილა, რომელიც ამბობს, რომ იმუშავებს, გააკეთებს და ფაქტობრივად გახლეჩილია სოფელი თავიდან ბოლომდე და მოწყვეტილია რაიონულ ცენტრს. სწრაფი რეაგირება, სწრაფი პრობლემის გადაწყვეტა და მუშაობა არის ერთადერთი გამოსავალი – ხალხის მსახურება და არა რუსი ოლიგარქის, – განაცხადა ლევან ხაბეიშვილმა.

„თბილისის ქუჩებში რომ გაიაროთ, პირველ რიგში, რუსულად საუბარს გაიგონებთ“

„საქართველოსა და სომხეთში დასავლეთის გავლენა თითქმის არ იგრძნობა“

საქართველოს საზოგადოება მსჯელობს საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებაზე, უვიზო რეჟიმი დაუწესოს ჩინეთის მოქალაქეებს. ჩინელ ტურისტებს საქართველოში მიესალმებიან, მაგრამ კომენტატორები რისკს ხედავენ იმაში, რომ ჩინელები, რუსების მსგავსად, მობინადრეები გახდებიან. როგორც ცნობილია, რუსეთის მოქალაქეებს, რომელთა რაოდენობა საქართველოში დიდია, უფლება აქვთ, 90-დღიანი ვადის გასვლის შემდეგ (თუნდაც 10 წუთით) გადავიდნენ რომელიმე მეზობელი ქვეყნის ტერიტორიაზე, შემდეგ კი ისევ შემოვიდნენ საქართველოში და აქ ცხოვრება გააგრძელონ. რუსებმა საქართველოში უკვე შეიძინეს უძრავი ქონება, გახსნეს ბიზნესი და ა.შ. საქართველოს საზოგადოებაში მთავრობის გადაწყვეტილება ჩინეთის მიმართ ანტიდასავლურ ნაბიჯად მოინათლა.

საქართველო მიიჩნევა ევროკავშირის წევრობის კანდიდატობის რეალურ პრეტენტენტად. წლის ბოლოსთვის ქვეყანა კანდიდატის სტატუსს ელის. მსოფლიოში მსჯელობაა იმაზე, რომ დასავლეთის გზას უკვე მკაფიოდ დაადგა სომხეთი. არსებობს რუსეთის ფედერაციის დაშლის ალბათობა. კრემლისგან დამოუკიდებლობის მოპოვების მსურველები არიან ჩრდილოეთ კავკასიის ავტონომიურ რესპუბლიკებში. ამასთან, ყველა დასავლელი ექსპერტი დარწმუნებით ვერ ამბობს, რომ კავკასია ხდება დასავლეთის დიდი ინტერესის ობიექტი. ზოგიერთი მათგანი გარკვეულ პარადოქსებს ამჩნევს საქართველოში. ამ და სხვა საკითხებზე რადიო „თავისუფლების“ ჩრდილოეთ კავკასიის რედაქციას ესაუბრა **სამხრეთ ილინოისის ამერიკული უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის დოცენტი ვალერი ძუცათი.**

მარიამ მჭედლიშვილი

– მობილიზაციაზე (უკრაინის ომში გასაგზავნად) ყველაზე მეტად რუსეთის ფედერაციის ეროვნული უმცირესობები საუბრობენ. რა არის მათი შეშფოთების მიზეზი?

– არ მაქვს მონაცემები იმის შესახებ, რომ ადამიანები კავკასიაში მობილიზაციით უფრო მეტად არიან შეშფოთებული, ვიდრე, მაგალითად, ცენტრალურ რუსეთში მცხოვრებლები. თუმცა, შარშან ზაფხულში ჩატარებული გამოკითხვის შედეგად, გამოჩნდა, რომ კავკასიაში ხალხი უფრო ნაკლებად უჭერს მხარს ომს, ვიდრე სხვა ფედერალურ ოლქებში. ამის მიზეზი ისაა, რომ ეს ადამიანები ნაკლებად უყურებენ რუსეთის ტელევიზიებს, მათ აქვთ ინფორმაციის სხვა წყაროები და ისინი მეტად ურთიერთობენ ერთმანეთთან.

– თქვენი აზრით, დაუჭერს თუ არა მხარს აშშ ჩრდილოეთ კავკასიის იმ რესპუბლიკებს, რომლებიც თვითგამორკვევას მოინდომებენ?

– არ მსმენია, რომ აშშ-ს აქვს რაიმე განსაკუთრებული პოზიცია ჩრდილოეთ კავკასიის მიმართ. აშშ-ს მთელი ყურადღება მიპყრობილია უკრაინის მიმართ. ჩრდილოეთ კავკასია რუსეთის მიმართ ამერიკის პოლიტიკაში მეორე ან მესამეხარისხოვანია. ხშირად დიდი სახელმწიფოები ახდენენ იმის ფორმირებას, რაც უკვე მოხდა.

თუ ხვალ რუსეთი ნაწილებად დაიშლება, მაშინ აშშ იტყვის, რომ აღიარებს ამა თუ იმ სახელმწიფოს. ამერიკის მხრიდან ამ იდეის აქტიურად წინ წამოწევა არ ხდება.

– უკრაინის ომის შემდეგ რატომ ხდება რუსეთის ხალხებში ისეთი თეზისის გავრცელება, როგორიცაა „დეკოლონიზაცია“?

– რუსეთი თავს დაესხა უკრაინას და მალე აშკარა გახდა, რომ ფაქტობრივად ბრძოლა მიდის კოლონიისათვის. რუსეთი უკრაინას კოლონიად განიხილავს. ამის შემდეგ ყურადღება მიექცა სხვა რეგიონებსაც. ბევრი დასავლელი ისტორიკოსი დიდი ხნის განმავლობაში უგულებელყოფდა რუსეთის ფედერაციის კოლონიალურ რაობას. მოგვიანებით დაიწყეს რუსეთის აღქმა გიგანტურ კოლონიალურ იმპერიად. მეოცე საუკუნეში კოლონიალური დაპყრობა აღარ იყო ნორმა. რუსეთის ისტორიკოსებს კოლონიალური მიტაცებები არ უღიარებიათ. რუსეთის ისტორიოგრაფია ტყუილებს ავრცელებდა. ზოგიერთი დასავლელი ისტორიკოსი ბრმად იმეორებდა რუსული ისტორიოგრაფიის დოგმებს, ანუ სიცრუეს.

– თუ რუსეთი დაიშლება და წავა ჩრდილოთ კავკასიიდან, ხომ არ არსებობს საფრთხე, რომ ეს ტერიტორიები მოექცევა თურქეთის, საფრანგეთის, ინგლისის, აშშ-ის ან სხვისი გავლენის ქვეშ?

– საქმე უფრო უარესადაა: ჩრდილოეთ კავკასია განსაკუთრებით არავის სჭირდება. შეიძლება, გარკვეულად, თურქეთს სჭირდებოდეს. თურქეთს ბლომად აქვს თავისი პრობლემები: ერაყი, სირია, ქურთები. თურქები ჩრდილოეთ კავკასიაში არ მოვლენ იმისთვის, რომ გავლენის სფეროები მიიტაცონ.

ჩრდილოთ კავკასიისათვის სიკეთის მომტანი იქნებოდა, ამერიკელებს რომ ჰქონოდათ ეკონომიკური ინტერესი რეგიონის მიმართ. ეს მოიტანდა ინვესტიციებს, განვითარებას, უკეთეს ცხოვრებას. ამერიკის მხრიდან კავკასიის მიმართ ინტერესს ვერ ვხედავ.

შეხედეთ, რა ხდება საქართველოში, სომხეთში. თბილისის ან სხვა ადგილების ქუჩებში რომ გაიაროთ, პირველ რიგში, რუსულად და არა ინგლისურად საუბარს გაიგონებთ. იქ არის ბევრი ტურისტი და არსებობს ძალიან ცოტა ამერიკული კომპანია. ჩრდილოეთ კავკასიაში არ უნდა მოელოდეთ მოვლენებს, რომლებიც განსხვავებული იქნება საქართველოსა და სომხეთის მოვლენებისაგან.

სომხეთში ცდილობენ, გაატარონ მულტივექტორული საგარეო პოლიტიკა. ამბობენ, რომ საქართველო მოექცა აშშ-სა და ევროკავშირის გავლენის ქვეშ. თუმცა, საქართველოს ევროკავშირში მიღება არ სურთ. იქ განსაკუთრებული პროგრესი არ შეინიშნება. საქართველო საქართველოდ რჩება და იქ სხვა სახელმწიფოების ზემოქმედება არ იგრძნობა. საქართველო ცდილობს საკუთარი ინტერესების დაცვას ისე, როგორც თვითონ ხედავს. იგივე ეხება აზერბაიჯანს.

ჩრდილოეთ კავკასიისათვის (რესპუბლიკებისთვის) მთავარი ამოცანაა, მოიპოვოს დამოუკიდებლობა და სხვა რამეზე შემდეგ იფიქროს. მე ვიდარდებდი იმაზე, რომ ვინმე მოვა და ყველაფერს მიიტაცებს.

პრობლემა ისაა, რომ თუ ჩრდილოეთ კავკასია დარჩება რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში, ის სულ უფრო ჩამორჩება სხვა ქვეყნებს, მათ შორის, გარშემო მდებარე სახელმწიფოებს.

პრეზიდენტს იმპიჩმენტს ვერ მოუწყობენ!

პეტრე მამრაძე: „სალომეს, როგორც პრეზიდენტს, ბევრი რამის თქმა ევალებოდა, მაგრამ არ ამბობს არც საჯაროდ, არც ვიზიტების დროს“

გულიკო ბალაძე

რა მოყვება საქართველოს პრეზიდენტის სალომე ზურაბიშვილის თვითნებურ ვიზიტებს და ამ ვიზიტების გამო იმპიჩმენტის პროცედურის წამოწყებას? საკონსტიტუციო სასამართლო დაადგენს თუ არა პრეზიდენტ ზურაბიშვილის მხრიდან კონსტიტუციის დარღვევას და შედგება თუ არა პრეზიდენტის იმპიჩმენტი? „ახალი თაობის“ კითხვებს პარლამენტის ყოფილი დეპუტატი პეტრე მამრაძე პასუხობს.



– ბატონო პეტრე, სალომე ზურაბიშვილის თვითნებურ ვიზიტებს რა მოყვება, იმპიჩმენტი შედგება?

– რა უნდა მოყვეს. ჩემი გამოცდილებით, არაფერი.

– რატომ არაფერი?

– პარლამენტის წევრი ვიყავი და კონსტიტუციის მომზადებაშიც ვმონაწილეობდი. ჩვენ იმ დროს შევეცადეთ, სააკაშვილის იმპიჩმენტის პროცედურა დაგვეწყო, ყველა საბუთი ხელში გვქონდა. რადგან მაშინ პარლამენტში ფრაქცია გვქონდა „სამართლიანი საქართველოსთვის“.

– რა საბუთები გქონდათ?

– პრეზიდენტი ყოველწლიურ ფინანსურ-ეკონომიკურ დეკლარაციებს ავსებდა და წლიდან წლამდე აჩვენებდა, რომ მისი ქონება მილიონებით იზრდებოდა – 800 ათასი დოლარით, ათასნაირი ქონებით ივსებოდა და წყაროს არ უთითებდა.

დანაშაული სახეზე იყო, იმიტომ, რომ პრეზიდენტს რა წყარო უნდა ჰქონდეს დამატებით ამხელა?! პრეზიდენტმა შეიძლება წიგნი გამოაქვეყნოს ან ლექციები წაიკითხოს. სააკაშვილი კი არც ლექციებს კითხულობდა და არც წიგნი გამოუცია და ფულს ისე იჯიბავდა.

სალომეს, როგორც პრეზიდენტს, ბევრ რამის თქმა ევალებოდა, მაგრამ არ ამბობს არც საჯაროდ, არც ვიზიტების დროს. არ იტყოდა და არც ხვალ იტყვის, მაგრამ აქ არსებითია ერთი რამ. მთელი ჩემი გამოცდილებიდან გამომდინარე, დარწმუნებული არ ვარ, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს პრეზიდენტის იმპიჩმენტისთვის საფუძვლის დადება არ გაუჭირდება.

– შეიძლება საკონსტიტუციო სასამართლოს პრეზიდენტის იმპიჩმენტისთვის საფუძვლის დადგენა გაუჭირდეს?

– დიახ. საქმე ისაა, რომ სალომე ზურაბიშვილმა მთავრობას მიმართა, ვიზიტებისა და მოლაპარაკებების წარმართვისთვის თანხმობა მიეცა, როგორც მას კონსტიტუციით ევალებოდა. უარი მიიღო, მაგრამ მაინც წავიდა და შეხვედრები მაინც ჩაატარა.

– საფრანგეთის ვიზიტზე არ მიუმართავს.

– შეიძლება საფრანგეთში ვიზიტზე არ მიუმართავს, მაგრამ, ზოგადად, მიმართა. სხვათა შორის, იქ ისრაელიც ფიგურირებდა, რომელიც ევროკავშირის წევრი არ არის. საკვირველი იყო, ისრაელმა ევროკავშირს ჩვენთვის კანდიდატის სტატუსის მონიჭება როგორ უნდა სთხოვოს.

– სალომე ზურაბიშვილმა თავი რით შეიძლება გაიმართლოს?

– სალომეს დამცველმა, იურისტმა, ან თვითონ სალომემ რომ თქვას, თანხმობა რომ ვერ მივიღე, ავტომატურ რეჟიმში გამოვიდა, რომ მივდიოდი, როგორც კერძო პირი.

– დაახლოებით მსგავსი რამ უკვე თქვა თავის განცხადებაში.

– დიახ. რადგან წავედი, როგორც კერძო პირი, შესაბამისად, ვერანაირი მოლაპარაკება ვერ წარვმართე. იმ ადამიანებს მხოლოდ ჩემს პირად აზრს ვეუბნებოდი. ეს აისახა იმაში, რომ არავითარი დოკუმენტი არ გაფორმდა, არც შეთანხმება და არც რაიმე ოქმი გაფორმებულაო.

– ანუ მისი შეხვედრები რაიმე კონკრეტული შედეგით არ დასრულებულა.

– დიახ, რაიმე სამართლებრივი შედეგით არ დასრულებულა. უკაცრავად, არავითარი მნიშვნელობა არ აქვს, პრეზიდენტი ვარ თუ არა, საქართველოს მოქალაქეს უფლება აქვს, ქვეყნიდან გავიდეს, უფლება აქვს, ვისაც უნდა შეხვდეს, თუ მეორე მხარის თანხმობა იქნება და ხმამღლა თუ პირად საუბარში თავისი პირადი აზრი თქვას.

– სალომე ამბობს, პირადად ჩემი კონტაქტებით ვხვდებოდიო.

– იქაც ასე იტყვის. მთავრობიდან არმიღებულმა მანდატმა ავტომატურად იძულებული გამხადა, მესაუბრა, როგორც საქართველოს მოქალაქეს. ძალიან რომ მდომოდა, მაინც ველარ ვილაპარაკებდი, როგორც ოფიციალური პირი, პრეზიდენტი და ეს არ ყოფილაო, ამაზე რას იტყვიან.

– ანუ ამ შემთხვევაში „ოცნების“ პოზიციები სუსტია?

– ძალიან საინტერესო რამ არის, ძალიან საინტერესო. ერთი მხრივ, ქალბატონი სალომეს მოქმედება კონსტიტუციის სულისკვეთების არსებითად აშკარა დარღვევა და კონსტიტუციის მიმართ უპატივცემულობაა. ამიტომ პარლამანტის წევრების, სახელმწიფო თანამდებობის პირების მხრიდან ამაზე არრეაგირება მათ დისკრედიტაციას ნიშნავს.

ეს იგივეა, რაც მელიამ გააკეთა, როდესაც მიტინგზე „ბრასლეტი“ მოიხსნა და მოისროლა. სასამართლოს გადაწყვეტილებით მას „ბრასლეტი“ უნდა ეტარებინა. გამომწვევად მოიხსნა და თქვა, ახლა მე ამას ვისვრიო და ისროლა კიდეც.

– ანუ ზურაბიშვილმა „ქართული ოცნების“ მისამართით „ბრასლეტი“ ისროლა?

– „ბრასლეტის“ სროლაზე პრეზიდენტის მხრიდან ლაპარაკიც არ შეიძლება, მაგრამ ეს არის საჯარო დემონსტრირება იმისა, კი, ბატონო, ვარლვევ! მაგრამ იმის გამო, რომ კონსტიტუციის ჩანაწერი არის ისეთი, როგორიც არის, რჩება ის, რაც გითხარით.

– კონსტიტუციაში კაზუსია?

– კაზუსი კი არ არის, კონსტიტუციაში დეტალურად ყველაფერს ხომ არ ჩაწერ. არსებული ჩანაწერი ამ ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. გეკითხებით, როგორც მოქალაქე მოქალაქეს – მე ვარ სალომე ზურაბიშვილი, თქვენ ხართ საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი. მე გეუბნებით: რაზეა, საერთოდ, ლაპარაკი? მეუბნებით, რომ ჩემი ვიზიტების დროს მე წარვადგენდი საქართველოს, ვაწარმოებდი მოლაპარაკებებს. არავითარ შემთხვევაში. მე არ მქონდა მანდატი, მაგრამ მაინც წავედი, მაგრამ წავედი, როგორც კერძო პირი.

– ჩემი ავტორიტეტით ვხვდებოდიო.

– ავტორიტეტი კიდევ სხვაა. წავედი, როგორც კერძო პირი და ერთ რამეს ვეუბნებოდი: ხალხთან კონტაქტი მაქვს, თქვენ, ვინც საქართველოში მოვლენებს აკვირდებოდით, ეს ძალიან კარგად იცით, ხალხი ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსს ნამდვილად იმსახურებს, ხალხი ამისთვის მზადაა. ხალხის უმრავლესობა მხარს უჭერს ევროპაში ღირსეული ადგილის დამკვიდრებას, ვადასტურებ, ხალხი ამისთვის მოწადინებულია. იტყვის, მხოლოდ ამას ვეუბნებოდიო.

ვფიქრობ, ამას იტყვის, არავითარი მოლაპარაკება არ მიწარმოებია, არავითარი ხელშეკრულება არ გამიფორმებია. ჩემი მხრიდან თუნდაც კომუნიკეც კი არ ყოფილაო. ნახეთ, ხომ საინტერესო რამ არის.

– დიახ, თქვენ ვითარება სულ სხვა კუთხით წარმოაჩინეთ.

– ხაზგასმით ვამბობ – მელიამ „ბრასლეტი“ რომ ისროლა და თქვა, აბა, ახლა დამაპატიმრეთ! დაახლოებით ასეთი რამეა. საქართველოს მთავრობის წინაშე ძალიან მარტივი არჩევანი იყო, ან არ დაეპატიმრებინათ და მიეღოთ საკუთარი თავის დისკრედიტაცია – იტყოდნენ, კანონის აღსრულების შნოც კი არ აქვთო. ასეთი ყბადაღებული ფაქტია.

ეს იგივეა, დღისით, მზისით, ადამიანმა საიუველირო ან სხვა მაღაზიის შუშა ჩაამტვრიოს, ძვირფასეულობა ტომარაში ჩაიყაროს და წაიღოს. ეს ყველაფერი ტელევიზიით გადმოცემულიყო და ძვირფასეულობის წამღებს ეთქვა: აბა, ბიჭებო, თუ შნო გაქვთ, მოდით, დამაპატიმრეთო. ამის შემდეგ, რა გინდა, რომ ქნა? საჭიროა რეაგირება.

მეორე მხრივ, ამ შემთხვევაშიც იგივეა. ნებისმიერი, საღად მოაზროვნე ადამიანის რეაქცია იყო (ბევრი ქართველისაგან გამიგია), რას შვრება ეს ქალი, კონსტიტუციის დამცველი უნდა იყოს და თვითონ რას აკეთებსო. ეს მომენტი არის და ამიტომ რეაგირება უნდა ყოფილიყო.

სასუნთქი გზების მკურნალობა ხალხური რეცეპტებით

ხველა

– ყივანახველის დროს – 1. თბილ ზეითუნის ზეთში გახსენით თაფლი და 7-8-ჯერ დაალევინეთ ბავშვს ჩაის კოვზით თბილი სახით; 2. მიიღეთ თბილი სახით ომბალოს ნაყენი; ტუხტის ძირების ნაყენი; ბალბა თაფლით დამტკბარი.

❖ ❖ ❖



– ბოლოკი ძალიან წვრილად დაჭერით და მოაყარეთ შაქარი. გამოყოფილი ტკბილი წვენი დალიეთ ერთი სუფრის კოვზი ყოველ საათში.

❖ ❖ ❖

– ძლიერი და გახანგრძლივებული ხველის დროს ერთ კოვზ ანწლის გამხმარ ყვავილს დაასხით ერთი ჭიქა მდუღარე წყალი, გააჩერეთ 20 წუთს და გამოწურეთ. მიიღეთ თითო მეოთხედი ჭიქა 3-4-ჯერ ჭამამდე 15 წუთით ადრე.

❖ ❖ ❖

– ვირისტერფას 2-3 ფოთოლი ჩაყარეთ ნახევარ ლიტრ ახალ რძეში და ადუღეთ, დაუმატეთ დანის პირით ღორის ქონი და დალიეთ ერთი ჩაის ჭიქა ძილის წინ.

❖ ❖ ❖

– ოთხ ჩაის კოვზ თაფლში და ოთხ ჩაის კოვზ სამკურნალო გლიცერინში ჩანურეთ ერთი ცალი ლიმონი. მიიღეთ ორი-სამი საათის შემდეგ.

❖ ❖ ❖

– ძლიერი ხველის შემთხვევაში კარგია შემდეგი ნაყენი: – აიღეთ ოთხი ცალი კაკლის ნაჭუჭი, დაუმატეთ ერთი კოვზი თაფლი, ყოველივე ეს ადუღეთ ნახევარ ლიტრ წყალში. გაწურეთ ნაყენი და დალიეთ ერთი სუფრის კოვზი დღეში ორჯერ.

ლინზები ექიმის გარეშე არ გამოიყენოთ

სამწუხაროდ, დღეს ბევრ ადამიანს აქვს მხედველობასთან დაკავშირებული პრობლემები, თუმცა სათვალე ბევრს არ უხდება. მედიკოსები დღემდე დაობენ იმაზე, რომელი ჯობია სათვალე თუ ლინზა, თუმცა ერთი რამ ცხადია – კონტაქტური ლინზები გაცილებით მოსახერხებელი და კომფორტულია, ვიდრე სათვალის ტარება. თუ მხედველობას უჩივით და სპეციალისტი გარწმუნებთ, რომ კონტაქტური ლინზები გჭირდებათ, მაშინ იძულებული ხართ თვალები ფართოდ გაახილოთ და პაწაწინა ლინზები თვალის ლორწოვან გარსზე მოირგოთ.

დღეს მოდაშია ლინზების ტარება, თუმცა ბევრს მათთან შეგუება უჭირს და კვლავ საოცნებო თვალის ფერის გარეშე რჩება. კონტაქტური ლიზნები სხვადასხვაგვარი არსებობს. ისინი ერთმანეთისგან ელატიკურობით, სისქით, ქიმიური შემადგელობით, სიმძიმით განსხვავდებიან, იმიტომ რომ მათ 200-მდე სხვადასხვა მასალისგან ამზადებენ. ბოლო პერიოდში მხედველობის კორექციის გარდა, ლინზებს თვალის ფერის შესაცვლელადაც აქტიურად იყენებენ.

თავდაპირველად შეიქმნა ერთწლიანი ლინზები, ტექნოლოგიების გაუმჯობესებასთან ერთად მათი ხარისხი დაიხვეწა და სპეციალისტებმა მოკლევადიანი ლინზებიც გამოიგონეს. დღეს უკვე არსებობს ექვსთვიანი, რამდენიმე თვიანი, ერთთვიანი, ორკვირიანი და ერთდღიანი ლინზებიც კი.

არსებობს რბილი და მყარი ლინზები, რომლებსაც სათვალეების მაგივრად ხმარობენ. მაგარი ლინზებისგან განსხვავებით, საზოგადოებაში რბილი ლინზები გაცილებით პოპულარულია. მისი უპირატესობა კი იმაში გამოიხატება, რომ ადამიანი ადვილად ეჩვევა, პრაქტიკულია, თითქმის შეუმჩნეველია და არც კი შეიგრძნობა. ასეთი ლინზები მზადდება როგორც შორსმხედველებისთვის, ისე ახლომხედველებისთვისაც. რბილი ლინზების დატოვება შეიძლება მთელი დღის განმავლობაში არა უმეტეს 18 საათისა. სამაგიეროდ, მაგარი ლინზა ადამიანს სერიოზულ დისკომფორტს უქმნის, რაც მის სისქეშია გამოკვეთილი. ყველაფრის მიუხედვად სპეციალისტები იმასაც ამტკიცებენ, რომ გათანამედროვებული მყარი ლინზები არანაკლებ ეფექტური და მოხერხებულია. ნებისმიერ მომენტში მათი შერჩევისას ექიმის რეკომენდაცია აუცილებელია.

თუ რქოვანის არატრადიციული ფორმაა, მაშინ ექიმები ასეთ პაციენტებს მაგარ, მხოლოდ მსუნთქავ ლინზებს უნიშნავენ.

არსებობს სხვადასხვა ტიპის ლინზები. ჩვენ შევეცდებით მათ სტრუქტურასა და დანიშნულებებში გაგარკვიოთ:

კორექციის ლინზები – ხსნის ახლომხვედელობასა და შორსმხედველობას, თუმცა მეცნიერების მიერ უკვე დამზადდა სპეციალური ლინზებიც, რომლებიც თვალის მიერ აღქმული საგნების დეფექტს მაქსიმალურად ასწორებს. ეს ქრომოგენური ლინზებია და ძირითადად დალტონიკებს ფერების გარჩევაში ეხმარება.

ერთდღიანი ლინზები – საზოგადოებაში ყველაზე აქტიურად გამოიყენება. მათი გამოცვლა ხდება ყოველდღიურად, თუმცა მისი დადებითი მხარე ის არის, რომ არც გაღიზიანება და არც კონიუქტივიტი არ დაგემართებათ. ეს ლინზები საკმაოდ უსარფოხო, ჰიგიენური და კომფორტულია. ისინი არ საჭიროებენ მოვლას, გარეცხვას და გასუფთავებას, ამიტომ ყველაზე ხშირად სპეციალისტები ასეთ ლინზებს უნიშნავენ პაციენტებს.



ორკვირიანი ლინზები – ძალიან მოსახერხებელია. ეს არის კომპლექტი, რომელიც თხელი და ელასტიკური ლინზებისგან შედგება. თითო მათგანი ორი კვირა შეგიძლიათ ატაროთ. მათი მოვლა აუცილებელია და ისინი სპეციალური ხსნარით იწმინდება.

სამთვიანი ლინზები – განკუთვნილია მათთვის, ვისაც ცრემლში ცილა აქვს. ამ დროს ლინზა მალე იბინდება და ფუჭდება. ისინი არ საჭიროებენ გაწმენდას, მხოლოდ სადეზინფექციო ხსნარში უნდა ამოავლოთ.

მგრძნობიარე თვალებისთვის ექიმები წყლის მაღალი შემცველობის ლინზებს ანიჭებენ უპირატესობას. ისინი 6-8 თვე ძლებენ, შეჩვევა ადვილად ხდება, ხშირად არც კი გაგახსენდებათ რომ გიკეთიათ. 17 საათის განმავლობაში შესაძლოა მათი ტარება, მაგრამ საკმაოდ ძვირი ღირს. რაც შეეხება წყლის დაბალი შემცველობის ლინზებს, ისინი ერთი წელი ძლებენ. არ ტყდება, ადვილი მოსავლელია. საკმარისია მათი ადუღებულ წყალში მოთავსება. ცილების ფენა მასზე არ ილექება. მათი დიდხანს ხმარება არ შეიძლება მაქსიმალური ვადა დღეში 10 საათია.

სამკურნალო ლინზები – რქოვანას იცავენ, ხოლო კოსმეტიკური ლინზები ფერადი გარსის დეფექტებს ასწორებენ.

თუ ლინზა თვალში ჩაიცურეთ და ვერ ეგუებით, ლინზა მაშინვე შეცვალეთ. მცდარია აზრი, თითქოს ლინზებს თანდათან ეჩვევა თვალი. თუ 15 წუთის განმავლობაში თვალმა კომფორტი ვერ იგრძნო, ის ლინზა თქვენთვის უსარგებლოა და შეგიძლიათ გადააგდოთ.

ამ ჩამონათვალის მიუხედავად, არ შეიძლება ლინზების სპეციალისტის გარეშე ტარება, მათი შერჩევა მეტად საპასუხისმგებლოა. დისკომფორტის გარდა, არასწორად შერჩეულმა ლინზამ შესაძლოა რქოვანას ანთება ჩამოგიყალიბოთ. იგივე შეიძლება დაგემართოთ, თუ ლინზებს განსაზღვრულ დროზე დიდხანს ატარებთ. არ აქვს მნიშვნელობა, იქნება ეს კოსმეტიკური თუ სამკურნალო ლინზები.

ოკულისტები ირწმუნებიან, რომ მომავალში, ვისაც მხედველობის კორექცია დასჭირდება, მხოლოდ ერთდღიან ლინზებს გამოიყენებს. ერთდღიან ლინზებს ის უპირატესობა აქვს, რომ ყველაზე მგრძნობიარე თვალიც კი ადვილად ეგუება, რადგან ისინი კარგად ატარებენ ჟანგბადს. მათ განსაკუთრებული მოვლა და საღამოობით სპეციალურ სითხეში მოთავსება არ სჭირდებათ. მოხერხებულია ასეთი ლინზების ტარება მგზავრობის დროსაც. მათი შესანახი კონტეინერისა და სასტერილიზაციო სითხის ყველაგან ტარება აღარ დაგჭირდებათ. ერთდღიანი ლინზები მათთვის არის ზედგამოჭრილი, ვინც დამწყებია ლინზების მოხმარების საკითხში. გამოუცდელმა ადამიანმა ლინზა მორგებისას შეიძლება დააზიანოს. ასეთი რამ განსაკუთრებით გულდასაწყვეტია ექვსთვიანი ლინზის შემთხვევაში, თორემ ერთდღიანი ლინზის დაზიანება დიდი ტრაგედია არ არის. თუ ლინზა გაიხა, აუცილებლად გადააგდეთ, ახალი აიღეთ და მოირგეთ.

არსებობს წესები, რა შეიძლება და რა არის დაუშვებელი ლინზების ხმარების შემთხვევაში.

აკრძალულია: ყვინთვა, ცურვა, შხაპის მიღება – ამ დროს ლინზები შეიძლება ჩამოცურდეს. სიგარეტის კვამლით გაჟღენთილ შენობაში ლინზები სწარფად იწოვს სუნს და რქოვანას გაგიღიზიანებთ. არ შეიძლება მისი ტარება მაღალი ტემპერატურის დროს. არასდროს მოირგოთ სხვისი ლინზები. თუკი ლინზის სასტერილიზაციო სითხეში ჩადება დაგავიწყდათ და ის გამოშრა, აუცილებლად გადააგდეთ. სინოტივის აღდგენა შეუძლებელია, ამიტომ ის ლინზა უკვე უვარგისია. ნებისმიერი დეზოდორის გამოყენებისას თვალები აუცილებლად დახუჭეთ. ლინზების ტარებისას არ არის სასურველი მტვრიან შენობაში ხანგრძლივად გაჩერება.

ლინზები აუცლებლად მოირგეთ მაკიაჟის გამოყენებამდე. მათი შესანახი კონტეინერი მუდამ სუფთა უნდა იყოს, სასურველია იგი წელიწადში 3-4-ჯერ გამოიცვალოს.

თუ კოსმეტიკას ხმარობთ, ლინზები მხოლოდ მაშინ ჩაისვით, როცა სახეზე კრემს წაისვამთ, სუნამოს იპკურებთ და თმებს ლაქით მოიწესრიგებთ. ლინზების ჩასმის შემდეგ წაისვით ტუში, გაიკეთეთ ჩრდილები. გამოიყენეთ კომპაქტური პუდრი. არ გამოიყენოთ ფუნჯი. დაუშვებელია ფუნჯის გამოყენება თვალზე ჩრდილის გაკეთებისას.

თუ ამ რჩევების შემდეგ მაინც გადაწყვიტეთ ლინზების ტარება, მიმართეთ კარგ სპეციალისტს, პრობლემა მოიწესრიგეთ და ცხოვრებაც გაილამაზეთ.

საზოგადოება

ბათუმის კინოფესტივალი 17 სექტემბერს გაიხსნება



საავტორო კინოს ბათუმის საერთაშორისო ფესტივალი ბიაფი წელს 17 სექტემბერს გაიხსნება და 24 სექტემბერს დაიხურება.

კინოფესტივალზე საკონკურსო პროგრამების გარდა, წარმოდგენილი იქნება სხვა პროგრამებიც. ყველაზე დიდი ინტერესია „დიდოსტატთა კოლექციის" მიმართ. ამ კოლექციაში ნაჩვენები იქნება სამხრეთ კორეელი რეჟისორის კიმ-კი-დუკის „ღმერთის ძახილი", რომლის დასრულებამდეც იგი კოვიდით გარდაიცვალა; ასევე იტალიელი რეჟისორის მარკო ბელოკიოს ბოლო ფილმი, რომელიც წელს კანის კინოფესტივალის მთავარი პრიზის ნომინანტი იყო; პოლონელი რეჟისორის, აგნეშკა ჰოლანდის „მწვანე საზღვარი" – ფილმი ემიგრაციაზე...

ბიაფის ფარგლებში ნაჩვენები იქნება ალი აჰმადზადეს „კრიტიკული ზონა", მარკო ბელოკიოს „მოტაცებული", ნური ბილჯე ჩეილანის „მშრალი ბალახის შესახებ", ოლგა ჩაიდას „იმაგო", მარია ქავთარაძის „ნელა"...

რიგით მე-18 კინოფესტივალს, უკვე 2 წელია, ბათუმის მერია და აჭარის განათლების სამინისტრო დაფინანსებაზე უარს ეუბნებიან. წელს მათ რიცხვს ეროვნული კინოცენტრიც დაემატა.

გიორგი გიგაშვილი სასცენო ექსპერიმენტს წარმოადგენს



პიანისტი გიორგი გიგაშვილი მუსიკოს ნიკალასთან ერთად 18 სექტემბერს კონსერვატორიის დიდ დარბაზში მუსიკალურ ექსპერიმენტს წარმოადგენს.

„სერიოზული მუსიკა" – ასე ეწოდება საღამოს, რომელიც აკადემიური და ელექტრონული მუსიკის სინთეზია. ერთგვარი სასცენო ექსპერიმენტი, სადაც კლასიკა თანამედროვეობას შეხვდება.

წინარეხის ღვთისმშობლის ეკლესიაში წმინდა ტრაპეზი ნაგვითაა ავსებული



დეკონოზი ილია ჭიღლაძე კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ წინარეხის ღვთისმშობლის ეკლესიაში წმინდა ტრაპეზის შებილწვით აღშფოთებულია:

– საკურთხევლის ამ მრავალსაუკუნოვან წმინდა ტრაპეზში, შუაში გაკეთებულ ფოსოში, რომელიც წმინდა ნაწილის დასაბრძანებლად არის განკუთვნილი, ახლა ნაგვითაა ავსებული, მათ შორის, ჰოი, საკვირველებავ: ფეხსაცმლის საწმენდი ჩოთქი!

ასე უვლიან ჩვენი ეპისკოპოსები და სამღვდელოება ტაძრებსა და სიწმინდეებს. სოფელ წინარეხის ღვთისმშობლის ეკლესია კასპის მუნიციპალიტეტშია.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

კალეიდოსკოპი

გოგონამ წონაში 54 კილოგრამი უბრალო კერძის წყალობით დაიკლო

გოგონამ, სახელად მერედიტმა, მნიშვნელოვნად დაიკლო წონაში უბრალო კერძის წყალობით, რომელიც, მისი აზრით, ბევრს არ მოეწონება. მან სოციალურ ქსელ ტიკტოკში გამოაქვეყნა ამის ამსახველი ვიდეორგოლი.

არც ისე დიდი ხნის წინ მერედიტი 117 კილოგრამს იწონიდა. მას შემდეგ, რაც წონაში დაკლება გადაწყვიტა, ის ცხოვრების აქტიურ სტილზე გადავიდა და გარკვეული ცვლილებებიც შეიტანა საკუთარი კვების რეჟიმში. გოგონას თქმით, ის ორი კვირის განმავლობაში ერთი და იმავე დიეტური კერძით იკვებებოდა.

გოგონას ეჭვი ეპარება, რომ მისი რეცეპტი მის ხელმომწერებს მოეწონებათ, თუმცა, ის მაინც გამოაქვეყნა.

– რას შეჭამდით იმისთვის, რომ წონაში 54 კილოგრამი დაიკლოთ? ყოველ დღე ვჭამდი 200 გრამ საქონლის ფარშს, ნახევარ ქილა შავ ლობიოს და ამ ყველაფერს წიწაკას ვაყრიდი. შეჭამდით ასეთ კერძს? – კითხულობს მერედიტი.

სიზარმაცის ჩემპიონატის მონაწილეებმა ახალი რეკორდი დაამყარეს

მონტენეგროში მიმდინარე ყოველწლიურ სიზარმაცის ჩემპიონატის მონაწილეებმა ახალი რეკორდი დაამყარეს: გამარჯვების შვიდმა მონაწილემ უკვე 600 საათი გაატარა მწოლიარე მდგომარეობაში.

შეჯიბრი მთავარი ზარმაცის წოდებისთვის 18 აგვისტოს დაიწყო საკურორტო ქალაქ ბრეზნაში. პირობების თანახმად, მთავარ პრიზს ათას ევროს მიიღებს შეჯიბრის ის მონაწილე, რომელიც სხვებზე დიდხანს იკოტრიალებს. ჩემპიონატის ყველა მონაწილე უნდა იმყოფებოდეს მწოლიარე მდგომარეობაში, მათ ჯდომა და ფეხზე დგომა ეკრძალებათ. სამაგიეროდ, მათ შეუძლიათ იკითხონ, უყურონ ფილმებს, ისარგებლონ მობილური ტელეფონებით. საჭმელითა და სასმელით მათ შეჯიბრის ორგანიზატორები უზრუნველყოფენ. მათ უფლება აქვთ, რვა საათში ერთხელ წამოდგნენ ფეხზე იმისთვის, რომ ტუალეტით ისარგებლონ. სხვა შემთხვევაში ჰორიზონტალური მდგომარეობის დარღვევისთვის მათ დისკვალიფიკაცია ემუქრებათ. თავდაპირველად შეჯიბრში მონაწილეობაზე განცხადება 21 ადამიანმა შეიტანა, სამი კვირის შემდეგ კი შვიდი მონაწილე დარჩა.

აღსანიშნავია, რომ პირველად ასეთი ჩემპიონატი მონტენეგროში 12 წლის წინ ჩატარდა.

მეთევზეებმა 48-კილოგრამიანი ლოქოს სანაცვლოდ 1500 დოლარი მიიღეს

ამერიკაში მეთევზეებმა კალებ მაკადასმა, დეივ შიპმანმა და კრის ბეიკერმა უზარმაზარი ლოქო დაიჭირეს და პრემიის სახით 1.500 დოლარი მიიღეს.



ამერიკელებმა ლოქო, რომლის წონაც 48 კილოგრამს აღემატებოდა და რომლის სანაცვლოდ მათ 1500 დოლარი გადაეცათ, 9 სექტემბერს დაიჭირეს. ასევე, მათი ნადავლი მეთევზეებს დაეხმარათ, გაესწროთ შეჯიბრში მონაწილე ცხრა გუნდისთვის და მოეგოთ მთავარი პრიზი 20 ათასი დოლარი. მათ მიერ დაჭერილი სამი თევზის საერთო წონამ თითქმის 96 კილოგრამი შეადგინა.

მეორე ადგილი და 8 ათასი დოლარი ერგო მეთევზეთა გუნდს, რომელთა მიერ დაჭერილი სამი თევზის საერთო წონამ 82 კილოგრამი შეადგინა.

ყველა ის თევზი, რომელიც შეჯიბრის დროს იქნა დაჭერილი უკანვე მდინარე მისისიპიში იქნა დაბრუნებული.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

2023, 13 სექტემბერი, №180

რა გავლენას იქონიებს ამინდი უკრაინელთა კონტრშეტევაზე?

უკრაინული არმიის კონტრშეტევა გრძელდება. ოპიტნოეში უკრაინელთა შეჭრამ ფრონტზე სრულიად ახალი ვითარება შექმნა. ზოგიერთმა ოპტიმისტმა უკვე დონეცკის გათავისუფლებაზე დაიწყო ლაპარაკი. ამავე დროს, უკრაინის გენშტაბის ცნობით, დონეცკისაკენ შეტევის გაგრძელება სერიოზულ პრობლემებთანაა დაკავშრებული.

უკრაინული არმიის ოფიცრის სელეზნიოვის აზრით, დონეცკისაკენ შეტევის გაგრძელება ნაკლებ რეალურია. არსებობს მოვლენების შემდგომი განვითარების რამდენიმე სცენარი. აქედან ყველაზე რეალურია ორი: 1) თუ რუსებს საკმარისი რესურსები აღმოაჩნდათ, შესაძლოა კონტრშეტევის ორგანიზება სცადონ. ამ შეთხვევაში უკრაინელებს მოუწევთ მანევრირებით თავდაცვაზე გადასვლა; 2) უკრაინული არმია განდევნის ოკუპანტებს ავდეევკის შემოგარენიდან და ამით შეიქმნება შესაძლებლობა, უზრუნველყოფილ იქნას ავდეევკის მოსახლეობის უსაფრთხოება.

როგორც უკრაინას, ისე დასავლეთს გაცილებით მეტად აწუხებთ მეორე კითხვა: რა გავლენას მოახდენს ზამთარი უკრაინელთა კონტრშეტევაზე. აღსანიშნავია აშშ-ის ომის შემსწავლელი ინსტიტუტის პოზიცია. იქაური ექსპერტები თვლიან, რომ შემოდგომაზე უკრაინელთა კონტრშეტევის წარმატებით დამთავრების ალბათობა 50%-ია. ამავე დროს ამერიკელი სპეციალისტებიც მიიჩნევენ, რომ უკრაინელების კონტრშეტევა ზამთარშიც გაგრძელდება.

ამერიკელი სპეციალისტების აზრით, ზამთარში უკრაინელთა ტაქტიკა შეიცვლება. მთავარი აქცენტი რუსეთის ლოგისტიკის მოშლაზე გაკეთდება. გაძლიერდება დარტყმები როგორც ოკუპანტების ზურგზე უკრაინაში, ისე თავად რუსეთის ტერიტორიაზეც. პასუხად რუსები უკრაინის დაბომბვას გააძლიერებენ. განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდება ენერგო-ობიექტების განადგურებაზე.

ამ მოსაზრებას მთლიანად იზიარებს უკრაინის სამხედრო დაზვერვის შეფი, გენერალი ბუდანოვი. თავის ინტერვიუში მან ხაზი გაუსვა, რომ კონტრშეტევა გაგრძელდება და ოკუპანტები მის შეჩერებას ვერ შეძლებენ. ეს მოსკოვშიც კარგად ესმით. ამიტომაც, ბუდანოვის ცნობით, იქ მობილიზაციის ახალი ტალღა მზადდება. ნავარაუდევია დამატებით კიდევ 700.000 კაცის მობილიზება. ეს გავრცელდება რუსეთის ყველა რეგიონზე, მათ შორის ჩეჩნეთზეც. ამავე დროს მობილიზაცია მთელ რუსეთში არაპოპულარულია, რაც იმოქმედებს მის ეფექტურობაზე.

ამრიგად, უკრაინელთა კონტრშეტევა გრძელდება და, როგორც ჩანს, კვლავაც გაგრძელდება. ზამთარი ამას ხელს ვერ შეუშლის. უკრაინასაც წინ სისხლისმღვრელი ბრძოლები მოელის.

რუსეთ-უკრაინის ფრონტი: რუსული არმია უკან იხევს

რუსეთ-უკრაინის ფრონტზე ცვლილებებია. დავიწყოთ კუპიანსკიდან. აქ ოკუპანტებმა დამატებითი ძალები გადაისროლეს და შეტევაზე გადასვლა სცადეს. უკრაინელებმა იერიში მოიგერიეს და კონტრშეტევაზე გადავიდნენ.

ამრიგად, კუპიანსკის მიმართულებით ოკუპანტებმა წინ ვერ წაიწიეს. ასევე წარუმატებელი გამოდგა სვატოვო-კრემენოეს მიმათულებით წინ წაწევის მცდელობაც.

ასევე მარცხი მოყვა ოკუპანტების მცდელობას, წინ წაწეულიყვნენ ბახმუტის მიმართულებით. უკრაინელებმა გაიმყარეს პოზიციები როგორც ბახმუტის სამხრეთით, ისე ბახმუტის ჩრდილოეთით. ოკუპანტებმა რამდენიმე კმ-ით დაიხიეს უკან. რაც შეეხება ვითარებას ბახმუტის სამხრეთით, აქ უკრაინელებმა კიდევ რამდენიმე დასახლებული პუნქტი გაათავისუფლეს. უკრაინულ არმიას წარმატებები აქვს ავდეევკის მიმართულებითაც.

უკრაინელთა შეტევები წარმატებით გრძელდება ზაპოროჟიეს ოლქშიც. ფრონტი უკვე კარგა ხანია, რაც რობოტინოს გასცდა. ახლა ბრძოლები ნოვოპროკოპიევკის გარეუბნებში მიმდინარეობს. უკრაინული არმია სულ უფრო უახლოვდება ტოკმაკს. რაც შეეხება ბერდიანსკის მიმართულებას, აქ უკრაინელებმა ადრე დაკარგული პოზიციები დაიბრუნეს. უკრაინული არმიაც ნელა, მაგრამ მტკიცედ მიიწევს ბერდიანსკისაკენ.

პარალელურად უკრაინის მთავარი სადაზვერვო სამმართველოს სპეცნაზმმა წარმატებული ოპერაცია ჩაატარა შავ ზღვაზე. შედეგად, რუსები განდევნეს ე.წ. „ბოიკოს ჭაბურღილისაგან". ასე უწოდებენ ჭაბურღილს, რომელიც ეკუთვნოდა პრორუსული ორიენტაციის უკრაინელ ოლიგარქს ბოიკოს.

ამრიგად, გასული დღის განმავლობაში უკრაინელებმა წინ წაიწიეს ოთხი მიმარულებით: ბახმუტის, ოპიტნოეს, დონეცკისა და ზაპოროჟიეს. უკრაინელთა წინსვლა გრძელდება.

აშშ აღნიშნავს 11 სექტემბრის ტრაგედიის დღეს

აშშ 11 სექტემბრის ტრაგედიის დღეს აღნიშნავს. როგორც ცნობილია, წლების წინ ისლამის ტერორისტებმა თვითმფრინავი გაიტაცეს და აშშ-ზე ტერორისტული თავდასხმა მოაწყვეს. შედეგად, 3.000 ადამიანი დაიღუპა, 6.000-მდე დაიჭრა.

– 11 სექტემბერი ამერიკის სხეულზე მუდამ მტკივნეულ ჭრილობად დარჩება, – განაცხადა აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ბლინკენმა.

გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი კიევში ჩავიდა

გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი ანალინა ბერნბოკი კიევში ჩავიდა. ის უშუალოდ პრეზიდენტმა ზელენსკიმ მიიღო.

პაკეტში შედის: ჰაერსაწინააღმდეგო საშუალებები, არტილერია, სპეციალური ტექნიკა.

ზელენსკიმ გერმანელ სტუმარს მადლობა გადაუხადა.

კიმ ჩენ ინი რუსეთში ჩავიდა

ჩრდილოეთ კორეის დიქტატორი კიმ ჩენ ინი რუსეთში ჩავიდა. ვლადივოსტოკში ის შეხვდება რუსეთის დიქტატორს პუტინს.

მოლაპარაკებების ძირითადი თემა რუსეთისათვის ჩრდილოეთ კორეის მიერ იარაღის მიწოდება იქნება.

მედვედევი იმუქრება

რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილემ, ოდიოზურმა დიმიტრი მედვედევმა მორიგი ექსცენტრიული განცხადება გააკეთა. მან თქვა, რომ რუსეთს თურმე არა უკრაინა, არამედ აშშ ეომება. მედვედევიც ვაშინგტონს კონტრზომებით დაემუქრა.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

დე იონგის ოცნება მსოფლიოს ჩემპიონობა და ჩემპიონთა ლიგის მოგებაა

ესპანური მედია ბარსელონას ნახევარმცველ ფრენკი დე იონგს ესაუბრა. ნიდერლანდელმა ფეხბურთელმა ბევრ საინტერესო თემაზე ისაუბრა.

– ფეხბურთი როდის შეგიყვარდათ?

– პატარა ასაკიდან. მამაჩემს, დედაჩემსა და ბაბუაჩემს ფეხბურთი ძალიან უყვართ. ვფიქრობ, სწორედ მათ გამო შემიყვარდა.

– მოგვიყევით თქვენი ბებიისა და ბაბუის შესახებ.

– ჩემს თამაშებს ყოველთვის უყურებდნენ. ბებია უკვე გარდაიცვალა. პირველ გუნდში, ტილბურგში, ბაბუამ მიმიყვანა. ჩემი მშობლები მუშაობდნენ, ბაბუა პენსიაზე იყო გასული, ამიტომ ერთადერთი იყო, ვისაც ფეხბურთზე ჩემი ტარება შეეძლო.

– გიფიქრიათ, რომ ბაბუის გარეშე ამდენს ვერ მიაღწევდით?

– ეს არავინ იცის, მაგრამ ჩვენ ერთად ბევრ დროს ვატარებდით – ჩემს ვარჯიშებსა და თამაშებს მუდმივად ესწრებოდა.

– ბარსაში 22 წლის ასაკში მიხვედით, ახლა კი 26 წლის ხართ და მეხუთე სეზონს იწყებთ. რამდენად შეიცვალეთ?

– არ ვფიქრობ, რომ როგორც ფეხბურთელი და როგორც პიროვნება ძალიან შევიცვალე. რა თქმა უნდა, რაღაცები შეიცვალა. თუმცა, გამოცდილების მიღებასთან ერთად, ეს ნორმალურია, რადგან ცხოვრებაში უნდა განვითარდე. თავს კომფორტულად და ბედნიერად ვგრძნობ. ბარსასთან ერთად პირველი ლა ლიგა უკვე მოვიგე, რაც ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო. მინდა, გუნდთან ერთად ტიტულების მოგება გავაგრძელო.

– რას გრძნობთ, როცა გუნდის ერთ-ერთი კაპიტანი ხართ?

– კაპიტნებს შორის ყოფნა დიდი პატივია. ბარსელონაში თამაში ყოველთვის ჩემი ოცნება იყო.

– თავს უკვე ლიდერად გრძნობთ?

– არ ვფიქრობ, რომ პიროვნულად ძალიან შევიცვალე. კაპიტნობის გამო გასახდელში მუდმივად ყვირილს არ ვაპირებ, ასეთი არ ვარ. თუმცა, შემიძლია, ფეხბურთელებს მაგალითი ვაჩვენო, შენიშვნა მივცე და დავეხმარო.

– თქვენი მშვიდი ხასიათის გამო ხშირად გაკრიტიკებენ. ფიქრობთ, რომ წარმატების მისაღწევად განსხვავებული თვისებებია საჭირო?

– ხალხი ხშირად იბნევა, ისინი ფიქრობენ, რომ ლიდერის თვისებები მას აქვს, ვინც ბევრს ყვირის, მაგრამ ხასიათი სხვა რამეა. მოედანზე საკუთარი საქმის კეთება და სხვებისთვის მაგალითის მიცემაც ძლიერ ხასიათს ნიშნავს.

– საიდან მოდის ბარსას სიყვარული? ბაბუისგან თუ კრუიფის გავლენისგან?

გაგრძელება მე-7 გვერდზე

კაილი ჯენერისა და ტიმოთი შალამეს კოცნა პაპარაცებმა დააფიქსირეს

ამერიკელი ტელევარსკვლავის კაილი ჯენერისა და მსახიობ ტიმოთი შალამეს კოცნა ისევ მოხვდა პაპარაცების კამერების ობიექტივში. ეს ყოველივე კი ჩოგბურთში ამერიკის ღია პირველობის ტურნირზე მოხდა.

ცნობილი სახეები ტურნირის ფინალურ მატჩს დაესწრნენ, რომელიც ნიუ იორკში არტურ ეშის არენაზე გაიმართა. გამოქვეყნებულ კადრებში ჩანს, თუ როგორ ეხვევა და კოცნის ერთმანეთს წყვილი მაყურებლების თანდასწრებით და არც მათკენ მიმართულ კამერებს მიაქციეს ყურადღება. ამ დროს ტელევარსკვლავს შავი მაისური და ლურჯი ფერის ჯინსები ეცვა, ხოლო მსახიობი ნაცრისფერ მაისურში, ჯინსებსა და კაპიუშონიან ქურთუკში იყო გამოწყობილი.

აღსანიშნავია, რომ ვარსკვლავური წყვილი პირველად არ დაუფიქსირებიათ კოცნის დროს. ეს ადრე ლოს-ანჯელესში ბიონსეს კონცერტზე მოხდა და არც იქ დაუმალიათ გარშემომყოფებისთვის ერთმანეთის მიმართ საკუთარი გრძნობები.

ძუ ლომმა ტურისტს ვიდეოკამერა მოპარა და საკუთარი ფოტოსესია მოაწყო

კენიაში ძუ ლომმა ტურისტს არაბეთის გაერთიანებული საემიროებიდან ვიდეოკამერა მოპარა და სავანაში საკუთარი ფოტოსესია მოაწყო.

როგორც ვიდეოს ავტორმა ახმე გალალმა აღნიშნა, მასაი-მარას ნაკრძალის დათვალიერების დროს ძუ ლომი შენიშნა. მან გადაწყვიტა შეემოწმებინა, თუ რას გააკეთებდა გარეული ცხოველი ვიდეოკამერით. მან ის ლომის მახლობლად დატოვა და თვალთვალი დაუწყო.

ცხოველი მართლაც დაინტერესდა აღნიშნული მოწყობილობით. ის მივიდა ვიდეოკამერასთან, შეათვალიერა, შემდეგ პირი დასტაცა და გაიქცა. ჩართულმა ვიდეოკამერამ ჩაიწერა, თუ როგორ ირბინა ლომმა სავანაში. მოგვიანებით მტაცებელმა მაღალ ბალახებამდე მიაღწია და იქ დასასვენებლად წამოწვა.

გალალის თქმით, მას ყველაზე მეტად ის ადარდებდა, მოახერხებდა თუ არა თავისი ვიდეოკამერის უკან დაბრუნებას. ის თანმხლებთან ერთად მანქანით დაედევნა ძუ ლომს, რომელმაც რაღაც მომენტში კამერა ძირს დააგდო და მიატოვა. ლომის მიერ გატაცებული ვიდეოკამერა, რამდენიმე განაკაწრს თუ არ ჩავთვლით, არ დაზიანებულა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

განცხადებები

● ოპერაციის გარეშე!!! საგვარეულო მცენარეული ნაკრების სიროფი: 1. „პლანტა" – ჩიყვი (კვანძოვან-კისტოზური, აუტოიმუნურიც); 2. „პლანტა-გლანდა" – ჩირქოვანი გლანდები, ადენოიდები, ხვრინვა; 3. „პლანტა+" – მასტოპათია (კვანძები), ფიბროადენომატოზული საშვილოსნო, მომატებული პროლაქტინი, უნაყოფობა. მისამართი: თამარ მეფის 25. მწვანე აფთიაქი, ტელ: 577-52-88-41.

● ფიტნეს ყავა!!! გასახდომი ყავა სამმაგი ეფექტით!!! აჩქარებს დაქვეითებულ მეტაბოლიზმს, აწესრიგებს პროლაქტინს! 1 ქილა – 1 თვის სამყოფი, გამდიდრებული ნალექიანი ყავა – 30 ლარი. მისამართი: თამარ მეფის 25. მწვანე აფთიაქი, ტელ: 577-52-88-41.

● მამაკაცებისთვის: სქესობრივი უძლურების, შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის, ადენომის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-ნორმალიზება, პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობის, წვის, ტკივილის, ქავილის, გაორებული, წყვეტილი და უნებლიე შარდვის (ბავშვებშიც!) აღმოფხვრა, ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციებისგან გაწმენდა, რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება სწრაფი კვლევებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოპოროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრით, სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილის, გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა. სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, დაბუჟების, კრუნჩხვების მოხსნა, გაჯანსაღება საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციები სახსრების 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, მრავალწლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-91-37-65 ან 247-58-83.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა – რეალური გამოსავალი!!! ნევროზის, დეპრესიის, შიშების, უძილობის, აკვიატებული აზრების, აგრესიის, „თეთრი ცხელების", ძილის პროცესების დარღვევის, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების მოწესრიგება გონებრივი შესაძლებლობების აღდგენით, ღვიძლისა და სისხლის გაწმენდა (დეტოქსიკაცია) საჭირო კვლევებით. ტელ: 599-72-21-38.

ქართველმა მოჭადრაკე ქალებმა მსოფლიო დაიპყრეს

პოლონეთის ქალაქ ბიდგოშჩში, მოჭადრაკე ქალთა მსოფლიოს გუნდური ჩემპიონატის ფინალში საქართველოს ნაკრებმა ყაზახეთს ორივე პარტია მოუგო და პლანეტის საუკეთესო გუნდი გახდა.

ჩვენი გუნდის შემადგენლობას ბელა ხოტენაშვილი, მერი არაბიძე, ნინო ბაციაშვილი, ლელა ჯავახიშვილი და სალომე მელია იცავდნენ. აღსანიშნავია, რომ საქართველოს ნაკრებმა 2015 წელს გამართული მსოფლიოს ჩემპიონატიც სწორედ ასეთი შემადგენლობით მოიგო.

ყაზახებთან პირველი პარტია ჩვენებმა 2.5:1.5 მოიგეს: მომგებიანი ქულა ლელა ჯავახიშვილმა მოგვიტანა, დანარჩენები კი, ყაიმზე შეთანხმდნენ. მეორე პარტიაში კი, იმავე ჯავახიშვილმა, არაბიძემ და ხოტენაშვილმა მეტოქეებს შანსი არ დაუტოვეს, ბაციაშვილი კი, ყაზახ მოჭადრაკეს ყაიმზე შეუთანხმდა – 3.5:0.5.

ჩვენმა გუნდმა ჯგუფში უკრაინის, ეგვიპტისა და ინდოეთის ნაკრებები დაამარცხა, იმავე ყაზახებს ყაიმი ეთამაშა, ხოლო საფრანგეთთან – წააგო. ნაკრები ჯგუფიდან მეორე ადგილით გავიდა და მეოთხედფინალში ჩინეთს ორ პარტიაში სძლიეს, ხოლო ნახევარფინალში ამერიკის ნაკრები ტაი ბრეიკზე დაამარცხეს.

კახი ასანიძე დოპინგზე ჩავარდა

საქართველოს ძალოსნობის ფედერაციის ინფორმაციით, ქართველი ძალოსანი კახი ასანიძე, რომელიც ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის, გიორგი ასანიძის ვაჟია, დოპინგ-კონტროლზე ჩავარდა.

განცხადებაში აღნიშნულია, რომ ფედერაციამ უკვე გადადგა შესაბამისი ნაბიჯები და დაუყოვნებლივი რეაგირებისთვის მიმართა შესაბამის უწყებებს:

„საქართველოს ძალოსნობის ეროვნულმა ფედერაციამ ცოტა ხნის წინ მიიღო არასასურველი ანალიტიკური შედეგის შესახებ ინფორმაცია (ITA) საერთაშორისო ტესტირების საagენტოს მიერ ეროვნული ნაკრების წევრის კახი ასანიძის სინჯზე.

აღსანიშნავია, რომ ოსტარინის დოზა არის პიკტოგრამებში (მინიმალური). მნიშვნელოვანია, რომ ანალოგიური ნივთიერების დაფიქსირება მოხდა Ison და GADA მიერ სპორტის სხვადასხვა სახეობის წარმომადგენლების, მათ შორის ჩვენი სპორტსმენების სინჯებშიც, რაც გვაძლევს საფუძვლიან ეჭვს მიზანმიმართული საბოტაჟის განხორციელებაზე, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ სპორტსმენები აღნიშნულ პერიოდში არაერთხელ შემოწმდნენ ITA-ს და GADA-ს მიერ და სინჯების პასუხი იყო უარყოფითი.

ძალოსნობის ფედერაციამ უკვე გადადგა შესაბამისი ნაბიჯები, დაუყოვნებელი რეაგირებით მიმართა საქართველოს სპორტის სამინისტროს, ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს, პარლამენტის სპორტის კომიტეტსა და GADA-ს. სპორტის მმართველი ორგანოების მიერ საქმე გადაცემულია პროკურატურაში შემდგომი გამოძიებისათვის.

სპორტსმენი კახი ასანიძე და საქართველოს ძალოსნობის ეროვნული ფედერაცია აწარმოებენ შესაბამის პროცედურებს და მჭიდროდ თანამშრომლობენ ყველა შესაბამის უწყებასთან. გარკვეულმა სამართლებრივმა პროცედურებმა შედეგი გამოიღო CAS-ში საქმის წარმოების დაწყებაზე, კახი ასანიძისათვის დროებითი სასჯელის (პროვისიონალ სუსპენსიონ) სტატუსის გადახედვის თაობაზე.

ძალოსნობის ფედერაცია დარწმუნებულია საკუთარი სპორტსმენების უდანაშაულობაში.



გვესმის, რომ აღნიშნული საკითხისადმი საერთაშორისო ინტერესი დიდია, თუმცა, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, საქმის დასრულებამდე და საბოლოო ვერდიქტამდე დამატებითი კომენტარებისგან თავს ვიკავებთ.

ჩვენი ფედერაციის პოლიტიკა წლების განმავლობაში არის სპორტში სისუფთავე და სამართლიანობა. სწორედ ამიტომ ამჟამადაც ვიბრძვით თამაშის წესების დაცვით (FAIR PLAY) და გავაგრძელებთ იმავეს, – წერია ძალოსნობის ფედერაციის განცხადებაში.

ამ დღეებში საუდის არაბეთში მსოფლიოს ჩემპიონატი მიმდინარეობს და ასანიძე, რომელიც 23-წლამდელთა შორის 2022 წლის ევროპის ჩემპიონია, ნაკრების განაცხადში არ იყო.

საუდის არაბეთში 11 სექტემბერს რეზი დავითაძესაც უნდა ეასპარეზა, მაგრამ ტურნირს ჩაეხსნა. რა გახდა ჩახსნის მიზეზი, უცნობია.

ბორჯღალოსნები ავსტრალიამ ორი ადგილით დააქვეითა

რაგბის მსოფლიო თასის პირველმა ტურმა რეიტინგზე გარკვეული გავლენა იქონია. ყველაზე ცუდი ის არის, რომ საქართველოს ნაკრებმა ორი ადგილით უკან დაიხია.

„ბორჯღალოსნებმა“ ავსტრალიასთან 15:35 წააგეს, რის გამოც კლასიფიკაციაში 1.91 ქულა დაკარგეს. სწორედ ამ დაკარგული ქულების გამო აღმოვჩნდით იტალიასა და ტონგაზე უკან, რადგან არცერთ მათგანს ქულები არ შემატებია.

საქართველოს ნაკრები მომდევნო მატჩს მხოლოდ 23 სექტემბერს ჩაატარებს პორტუგალიასთან და მოგების შემთხვევაში, რეიტინგში წინსვლის შანსი ექნება.

რაც შეეხება მსოფლიო თასზე ჩვენს თანაჯგუფელ ფიჯის: კუნძულელები უელსთან (26:32) დამარცხდნენ, შედეგად 2.40 ქულა მოაკლდათ და მეშვიდე ადგილიდან მეცხრეზე აღმოჩნდნენ. ორი ადგილით აიწია ავსტრალიამაც.

რეიტინგში უკუსვლა ყველაზე მეტად არგენტინას შეეხო, რომელმაც ინგლისთან (10:27) წააგო. სამხრეთ ამერიკელებმა 3.27 ქულა და ოთხი ადგილი დაკარგეს და განახლებულ რეიტინგში ათეულის ბოლოში გადაინაცვლეს.

მსოფლიო კლასიფიკაციის მოწინავე ხუთეული – ირლანდიის, სამხრეთ აფრიკის, საფრანგეთის, ახალი ზელანდიისა და შოტლანდიის შემადგენლობით, იგივე დარჩა.

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

დე იონგის ოცნება მსოფლიოს ჩემპიონობა და ჩემპიონთა ლიგის მოგებაა

დასაწყისი მე-6 გვერდზე

– მამაჩემი კრუიფის დიდი გულშემატკივარია. შვებულებისას ყოველთვის კოსტა ბრავაზე (კატალონიის ზღვისპირა რაიონი) დავდიოდით, ზოგჯერ „კამპ ნოუზე“ ბარსას ამხანაგურ თამაშებს ვესწრებოდით ან კლუბის მუზეუმს ვათვალიერებდით. ნიდერლანდებსა და ბარსელონას ყოველთვის გამორჩეული კავშირი ჰქონდათ.

– ყველაფერი ისე მიდის, როგორც წარმოგედგინათ?

– დიახ, ეს ასეა. ნიდერლანდების მილმა ჩემი ფავორიტი კლუბი ყოველთვის ბარსელონა იყო.

– საკუთარ თავს ძალიან აკრიტიკებდით?

– დიახ. ყოველთვის თვითკრიტიკული ვარ. როდესაც რაღაც ცუდად მიდის, პირველ რიგში საკუთარ თავს უნდა შეხედო. ვფიქრობ, ეს განვითარებაში მეხმარება.

– თქვენი აზრით, რისი გაკეთება შეგეძლოთ უკეთ ამ ოთხი წლის განმავლობაში?

– ბევრი რამის. პირველ სეზონში შემეძლო, გუნდისთვის უფრო მნიშვნელოვანი ფეხბურთელი ვყოფილიყავი. ეს იმას არ ნიშნავს, რომ არ ვცადე, მაგრამ შემეძლო, უფრო მეტი გავლენა მქონოდა.



– ახლა ფიქრობთ, რომ ეს გავლენა გაქვთ?

– ვფიქრობ, რომ გასულ სეზონში ეს უკვე შევძელი. ეს იმაზეცაა დამოკიდებული, თუ რა როლი მაქვს გუნდში. წინა სეზონში იმ პოზიციაზე ვთამაშობდი, სადაც თავს ყველაზე კომფორტულად ვგრძნობ და სადაც საკუთარი თავის საუკეთესო ვერსიას ვაჩვენებ.

– პირველ წლებში საკმარისად თამამი ვერ იყავით?

– შესაძლოა, ასე იყო. ამაზე ბევრს ვფიქრობდი. როდესაც ბარსელონაში მიდიხარ და მაღალი დონის ფეხბურთელებთან ერთად თამაშობ, ეს ნორმალურია. ბუნებრივია, რომ აიაქსთან შედარებით ნაკლებად მნიშვნელოვანი როლი მქონდა. ვიცოდი, რომ თავდაპირველად ასეთი სიტუაცია იქნებოდა.

– სტატისტიკას უყურებთ?

– დიახ, თუმცა ეს ნაკლებად მაინტერესებს.

– გასულ სეზონში, რომელიც თქვენთვის საუკეთესო იყო, ოთხი გოლი გაიტანეთ და ორი ასისტი გააკეთეთ. ყოველთვის გამოჩნდება ვილაც, ვინც სტატისტიკას დიდ ყურადღებას აქცევს.

– გოლები და ასისტები იმაზეა დამოკიდებული, თუ რა როლი გაქვს გუნდში. ვფიქრობ, 15 გოლის გატანა და 20 ასისტის გაკეთება ჩემი ფუნქცია არაა. თუმცა, ამ კომპონენტებში მომატება შემიძლია. მიუხედავად ამისა, ჩემი თამაში გოლებითა და საგოლე პასებით არ ფასდება.

– რა მოხდა შარშან, როდესაც კლუბს თქვენი გაყიდვა სურდა?

– ბარსელონას რთული სიტუაცია ჰქონდა. კლუბს ეკონომიკურად საუკეთესო პერიოდი არ აქვს და ჩემი გაყიდვით დიდი თანხის მიღება შეეძლოთ. შესაძლოა, კლუბმა ჩათვალა, რომ ჩემი გაშვება და ფულის მიღება სწორი იყო, თუმცა, მე წასვლა არ მსურდა, რის გამოც მშვიდად ვიყავი. გადაწყვეტილება მიღებული მქონდა.

– რა იყო მთავარი მიზეზი, რის გამოც დარჩენა გსურდათ?

– ყოველთვის ბარსაში თამაში მსურდა. საწყის წლებში ლა ლიგა ვერ მოვიგეთ, ჩემპიონთა ლიგაზე კი შორს ვერ გავედით, მხოლოდ კოპა დელ რეის დავჯერდით, ამიტომ წარმატების მისაღწევად ბევრი რამ მქონდა გასაკეთებელი. ასევე დავინახე, რომ კლუბი ვითარდებოდა, გუნდს მაღალი დონის ფეხბურთელები შემოუერთდნენ და დარჩენა სწორედ ამიტომ მსურდა. ბარსა ჩემი ოცნების კლუბია და მინდა, აქ მთელი ცხოვრება გავატარო.

– კლუბი რომ დაგეტოვებინათ, ბევრი იტყოდა, რომ ბარსაში წარმატებას ვერ მიაღწიეთ.

– დიახ, ასეც იქნებოდა, მაგრამ ხალხის აზრს დიდ მნიშვნელობას არ ვანიჭებ.

– რა გირჩიათ თქვენმა მეუღლემ?

– მიკი ყოველთვის მიმეორებდა, რომ ჩემს კარიერასთან დაკავშირებით გადაწყვეტილება თავად უნდა მიმეღო. მხოლოდ იმას მეუბნებოდა, რომ ბარსელონაში ცხოვრებით ბედნიერი იყო. ქალაქი ძალიან უყვარს, ისევე, როგორც ყველას, ვინც აქ ცხოვრობს.

– მისი ცხოვრება ნოემბერში შეიცვლება, როდესაც პირველი შვილი გეყოლებათ.

– ვფიქრობ, უკეთესობისკენ ნამდვილად შეიცვლება.

– გაშინებთ ის პასუხისმგებლობა, რაც მამობას მოჰყვება?

– არა. ზოგი ამბობს, რომ როდესაც მშობლები იყვნენ, ძალიან ეშინოდათ, რადგან არ იცოდნენ, როგორ მოქცეულიყვნენ. არც მე ვიცი, რადგან მამა არასდროს ვყოფილვარ, მაგრამ ვფიქრობ, პასუხისმგებლობის აღება შემიძლია. ჩემი მეუღლეც მზადაა დედობისთვის.

– ფეხბურთის გამო გიტირიათ?

– არ მახსენდება. შესაძლოა, ბავშვობაში მარცხის გამო მიტირია, რადგან ფეხბურთის თამაშისას ემოციური ვხდები. მაგრამ ტირილი? არა მგონია.

– როგორ იღებთ წაგებას?

– საკმაოდ ცუდად. ამ დროს გაღიზიანებული ვარ. ვფიქრობ, რისი გაკეთება შემეძლო უკეთ.

– ვისთან გამოხატავთ ამ გრძნობებს?

– მეუღლესთან, მეგობრებთან, ოჯახის წევრებთან, ხანდახან თანაგუნდელებთანაც.

– რომელმა წაგებამ დაგწყვიტათ გული ყველაზე მეტად?

– ბაიერნთან (2:8) წაგებამ. ზიხარ და განიცდი. ამის ახსნა რთულია. არ ვიცი, იყო თუ არა ეს ყველაზე ცუდი დღე ბარსაში, მაგრამ, როგორც კულეები, ძალიან შერცხვენილები ვიყავით. მსოფლიოს ერთ-ერთმა უდიდესმა კლუბმა ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში 2:8 არ უნდა წააგოს. თუმცა, ტოტენჰემთან მარცხი, აიაქსის დროს 2018-19 წლებში ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში და არგენტინასთან პენალტების სერიაში წაგება 2022 წლის მუნდიალის მეოთხედფინალში უფრო მოულოდნელი იყო, ამიტომ უფრო იმედგაცრუებული ვიყავი.

– ამბობთ, რომ კრიტიკას არ უსმენთ, თუმცა, სოციალურ ქსელში საერთოდ არ აკვირდებით, რას ამბობენ თქვენზე? ვიწრო გარემოცვაში ცხოვრება ძალიან რთულია.

– ეს შეუძლებელია. რა თქმა უნდა, კომენტარებს ვკითხულობ, რადგან საფეხბურთო სიახლეებს თვალს ვადევნებ. ცხადია, დადებითი შეფასებების კითხვა უფრო გსიამოვნებს, ვიდრე კრიტიკის, თუმცა, ეს ჩემზე დიდ გავლენას არ ახდენს.

– ფიქრობთ, რომ ცხოვრების იმ ეტაპზე ვართ, როდესაც კრიტიკას გაცდენა და ხშირად შეურაცხყოფის მიყენება ძალიან მარტივია?

– ვფიქრობ, ხალხი რაღაცებს ძალიან აზვიადებს. როდესაც კარგად თამაშობ, ერთ-ერთი საუკეთესო ხარ, ხოლო როდესაც ცუდად ასპარეზობ, ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე ცუდ ფეხბურთელად გთვლიან. ხალხს ერთი მატჩით ან მოქმედებით დასკვნები გამოაქვს. თუ გეტყვიან, რომ ბარსაში თამაშს არ იმსახურებ, ეს, ალბათ, იმიტომ ხდება, რომ სოციალურ ქსელში აზრის გამოთქმა ყველას შეუძლია. ისიც სიმართლეა, რომ სათაურებსაც ის არჩევს, ვინც ყველაფერს ყველაზე მეტად აზვიადებს.

– რა არის თქვენი ოცნება?

– მსოფლიო ჩემპიონატის მოგება ნიდერლანდების ნაკრებთან და ჩემპიონთა ლიგის მოგება ბარსელონასთან ერთად.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. მხარე ავსტრიაში; 2. ჟორჟ ბიზეს ოპერა; 3. პირველი ქართველი ალპინისტი ქალი; 4. პიგმენტაცია დარღვეული ადამიანი; 8. ქართველი მხატვარი; 9. ზღვის კომბოსტო; 11. სპორტსმენთათვის აკრძალული, აღმგზნები ნივთიერება; 12. ღვინის მწარმოებელი ქართული ფირმა; 14. სახელმწიფო სამხრეთ ამერიკაში; 16. ენაჩლუნგობა; 17. სპილენძის საბადო ბოლნისის რაიონში; 19. მეტისმეტად გულგრილი, აუღელვებელი ადამიანი; 21. ღვინის თიხის სასმისი.

თარაზულად: 5. უბანი ქუთაისში; 6. ღუზის ამოსაქაჩი ჯალამბარი გემზე; 7. ზღვისპირა კურორტი გურიაში; 10. დაბალი საამო ხმით მღერა; 13. ნიადაგის ზედა ნოყიერი ფენა; 15. ძველი ბერძნების წარმოდგენით, ცის ყველაზე მაღალი ნაწილი, სადაც წმინდანები ცხოვრობდნენ; 18. ოპტიკური მოვლენა ატმოსფეროში; 20. სამელექტროდიანი ელექტროვაკუუმური ნათურა; 22. მადის მოსაყვანი, მცირე ალკოჰოლიანი სასმელი; 23. დაავადების დამახასიათებელ სიმპტომთა ერთობლიობა; 24. ფრანგული მობილური კავშირგაბმულობის კომპანია.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ფაკირი; 2. კაკაჩი; 3. ივერი; 5. ბანა; 6. ჩაფარი; 8. პიარნუ; 11. პეტრიწონი; 13. დიაფანი; 14. რენუარი; 15. ბაობაბი; 19. გოია.

თარაზულად: 1. ფაბრიკაცია; 4. დამბაჩა; 7. კონიაკი; 9. რემისია; 10. აპაჩი; 14. აერობუსი; 16. ფუფუნება; 17. ბაზიერი; 18. ცუგცვანგი; 20. ნექტარი; 21. ბიტი; 22. მირზაანი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ხერესი; 2. ონაგატა; 3. ჯავახეთი; 4. კლაიპედა; 8. მონასტერი; 9. კონტრასტი; 11. შეიკერი; 12. იენი; 14. არფა; 16. კოლექცია; 17. მაშავერა; 19. ფროიდი; 21. ვოლვო.

თარაზულად: 5. სავოიარი; 6. ჯარგვალი; 7. პასტორალი; 10. პერონი; 13. კანადა; 15. სნუკერი; 18. ჰოპერი; 20. რატუშა; 22. პროვიზორი; 23. ბილბორდი; 24. ავტოჟირი.

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

13 სექტემბერი

აშშ დოლარი — 2.6234

ევრო — 2.8157

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.2837

100 რუსული რუბლი — 2.7240

ამინდის პროგნოზი 13 სექტემბრისათვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

იურგენ კლოპი გერმანიის ნაკრების მწვრთნელი არ იქნება

გერმანიის ნაკრები დროებით მწვრთნელის გარეშეა და ამ თანამდებობაზე რამდენიმე კანდიდატი განიხილება. ერთ-ერთი მათგანი იურგენ კლოპია, რომელმაც უკვე თქვა უარი, რადგან კლოპი ლივერპულის დატოვებას არ აპირებს.

იურგენმა რამდენჯერმე ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ ის რამდენიმე წელი ისევ ლივერპულის მწვრთნელი იქნება. კლოპის გარდა, ყველაზე აქტიურად იულიან ნაგელსმანის კანდიდატურა განიხილება.

პედრი მოედანზე ოქტომბერში დაბრუნდება



ბარსელონას ტრავმირებული ნახევარმცველი პედრი მოედანს ოქტომბერში დაუბრუნდება და მანამდე ბარსელონას მის გარეშე მოუწევს თამაში. პედრიმ ტრავმა ვარჯიშზე მიიღო და ამ მხრივ მას გასულ სეზონშიც ჰქონდა პრობლემები.

პედრი ბარსელონას ნახევარდაცვის ლიდერად ითვლება, ამიტომ მის გარეშე გუნდს შესაძლოა პრობლემები შეექმნას. წლევანდელ სეზონში მის ანგარიშზე უკვე არის გოლი და საგოლე გადაცემა.

პოლ პოგბამ დოპინგ ტესტი ჩააგდო

იუვენტუსის ფრანგმა ნახევარმცველმა პოლ პოგბამ დოპინგ ტესტი ჩააგდო და ანალიზმა მის სისხლში ტესტოსტერონის კვალი აჩვენა, რაც აკრძალული პრეპარატია. იუვენტუსმა განმეორებითი ტესტი მოითხოვა და მასზე არის პოლ პოგბას ბედი დამოკიდებული. თუ განმეორებითმა ტესტმაც დადებითი პასუხი აჩვენა, მაშინ შესაძლოა, პოგბამ 4-წლიანი დისკვალიფიკაცია მიიღოს.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ელისაბედ II-ის დღეგრძელობის საიდუმლო ცნობილია

ყოფილმა სამეფო შეფ-მზარეულმა დარენ მაკგრედიმ ელისაბედ II-ის დიეტური საიდუმლოებები გაამხილა და რომელმაც მას ხანგრძლივად და აქტიურად ცხოვრების საშუალება მისცა.

მაკგრეიდიმ დედოფალის დღეგრძელობის ძირითად საიდუმლოდ დაბალანსებული რაციონი დაასახელა. მასში ბევრი იყო სეზონური ხილი და ბოსტნეული, ორგანული პროდუქტები სამეფო სამფლობელოებიდან, ასევე ყოველდღიური შუა დღის შავი ჩაი. მზარეულების გუნდი რამდენიმე დღით ადრე მისთვის ადგენდნენ პერსონალურ მენიუს სხვადასხვა ვარიანტებით, დედოფალი კი მათში გადახაზავდა იმ კერძს, რომელიც არ მოეწონებოდა.

მზარეულის თქმით, დედოფალი ჩვეულებრივ დღეს ფინჯანი შავი ჩაით იწყებდა, შემდეგ ბუკინჰემის სასახლის სასადილოში შეუდგებოდა საუზმეს, რომელიც ჩვეულებრივ შედგებოდა მუსლის, იოგურტისა და ჯემიანი გახუხული პურისგან. ზოგჯერ კი დედოფალი მის ნაცვლად შეექცეოდა ომლეტს შებოლილი კალმახით. საერთოდ, შებოლილი თევზი მისი ერთ-ერთი ყველაზე საყვარელი კერძი იყო ჯერ კიდევ ომის წლებიდან. თევზი მას შეეძლო მიერთვა საუზმის ან გვიანი ვახშმობის დროს.

დედოფალს თევზის ჭამა უყვარდა ვახშამზეც. ის მას ახალ ან მოთუშულ ბოსტნეულთან ერთად მიირთმევდა. დედოფალი განსაკუთრებით ხშირად ირჩევდა დოვერულ ქამბალას ორთქლზე მოხარშულ ისპანახთან ერთად. ამასთან, ელისაბედ II ყოველთვის მარტო სადილობდა და არ ეკარებოდა ისეთ ნახშირწყლებს, როგორებიცაა კარტოფილი ან მაკარონი.

შუა დღის ჩაის შემდეგ დედოფალი ხშირად მიირთმევდა სენდვიჩს კიტრითა და ორაგულით და ამავე დროს უარს არ ამბობდა შოკოლადიანი ჯანჯაფილის ორცხობილაზე. როგორც წესი, დედოფალის ვახშამი შედგებოდა ბოსტნეულის, ნანადირევი ცხოველის კერძის ან სამეფო სამფლობელოებში დაჭერილი თევზისგან. ბალმორალის ციხე-სიმაგრეში ელისაბედ II ხშირად მიირთმევდა მდინარეში დაჭერილ კალმახს, ხბოს სტეიკს ან ირმის ხორცს სოკოსა და ვისკის სოუსით.

დედოფალს ძალიან უყვარდა შოკოლადი და ჩვეულებრივ დღეში ერთ ბოკალ ტკბილ გერმანულ ღვინოს ან კოქტეილს ჯინით სვამდა.

თათია შარანგია მესამე ქმარსაც გაშორდა

პიანისტი და გადაცემა „სთორის“ წამყვანი თათია შარანგია მესამე ქმარს ჯარჯი თორაძესაც გაშორდა. წყვილი რამდენიმე თვის წინ დაქორწინდა და მათი გაბედნიერების ამსახველი ფოტოები ინტერნეტში გავრცელდა.

დაშორების შესახებ ინფორმაცია თათიამ სოციალური ქსელით თავად გაავრცელა:

– მე და ჯარჯი დავშორდით. საკუთარი ღირსების ხათრით, დეტალებსა და მიზეზებზე არ ვისაუბრებ, თუმცა, თბილისი პატარა ქალაქია და ვთვლი, რომ ყველას ჩვენი ადგილი გვაქვს სოციუმში. თურმე, როგორც არ უნდა ეცადო, იყო საუკეთესო, მიძღვნილი მეუღლე, მაინც შეიძლება ფსკერზე აღმოჩნდე. ბოდიში გულშემატკივრებს, ვისაც ჩემს იმედგაცრუებაზე გული დაწყდება. მთავარია, დაცემის შემდეგ ძლიერად წამოდგე ფეხზე და გპირდებით, ამაში არ დაგაღალატებთ.

პ.ს. თათია შარანგიას პირველი ქორწინებიდან 2, ხოლო მეორე ქორწინებიდან 1 ბიჭი ჰყავს.

„საბავშვო ევროვიზია 2023“-ზე 3 ქართველი იმღერებს

„საბავშვო ევროვიზია 2023“-ზე საქართველოს ანასტასია ვასაძე წარადგენს, თუმცა, მასთან ერთად სცენაზე კიდევ 2 ქართველი მომღერალი – ოთო ბაზერაშვილი და ნიკოლოზ ხარატი იდგებიან.

საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, გადაწყვეტილება ევროვიზიის შემოქმედებითმა გუნდმა მიიღო, მუსიკალური შოუ „რანინას“ ერთ-ერთი ბოლო სეზონის გამარჯვებული ანასტასია ვასაძე, მეგობრების დახმარებით, კიდევ უფრო შთამბეჭდავ ნომერს წარადგენს.

„საბავშვო ევროვიზია 2023“ წელს ნიცაში 26 ნოემბერს გაიმართება.

მარიამ როინიშვილი მიუზიკლ „ჩიკაგოში“ იმღერებს

მომღერალი მარიამ როინიშვილი ლეგენდარულ მიუზიკლში „ჩიკაგო“ მიიღებს მონაწილეობას. წარმოდგენა 20 სექტემბერს „თეატრში“ გაიმართება. „ჩიკაგოს“ ოფიციალური ლიცენზია „წისქვილი ჯგუფმა“ შეიძინა.

ჯაზის, კრიმინალისა და ვნების – სიმდიდრის, მკვლელობისა და ინტრიგების სამყარო სენსაციური მიუზიკლის „ჩიკაგოს“ მთავარი ხაზია. ბროდვეის კლასიკად ქცეული 3-მოქმედებიანი ვოდევილი „თეატრში“ ვახშმის თანხლებით იქნება წარმოდგენილი.

მიუზიკლი ეფუძნება მორინ დალას უოტკინსის 1926 წელს დაწერილ ამავე სახელწოდების პიესას, რომელიც იმ დროს განვითარებულ რეალურ ამბებს ასახავს. უოტკინსი „ჩიკაგო ტრიბუნის“ კრიმინალური განყოფილების ჟურნალისტი იყო, რომელმაც ფაბულად კრიმინალური ქრონიკის ისტორიები გამოიყენა. მთავარი გმირების პროტოტიპები რეალური ადამიანები იყვნენ – მკვლელი ქალები ჩიკაგოდან – ბელვა გარტნერი და ბეულა ანანი. „ჩიკაგო“ – ეს ერთგვარი ცირკია ყველაზე შთამბეჭდავი წარმოდგენითა და სანახაობით, ჯამბაზებითა და მარიონეტებით, ცრუ სიყვარულითა და ნამდვილი სიძულვილით. მიუზიკლში წარმოდგენილია 1920-იანი წლების ამერიკა, სადაც ადამიანები კორუფციაში იხრჩობიან, მკვლელებს ამართლებენ, უდანაშაულებს უსწორდებიან, ნაფიცი მსაჯულები გაავლენის ქვეშ ექცევიან, კაცები ტირიან და ქალები იბრძვიან, სამართლიანობა აქ პირობითია, ყველა სკანდალს ეძებს. 32.500 წარმოდგენა და 32 მილიონზე მეტი მაყურებელი – ეს ლეგენდად ქცეული მიუზიკლის რეკორდია. „ჩიკაგოს“ მსოფლიო რუკაზე უკვე საქართველო – თბილისი და ქართველი მაყურებელიც გამოჩნდა.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

კიმ კარდაშიანის ძვირადღირებული ბიკინი 6.900 დოლარი ღირს

ამერიკელი ტელევარსკვლავი კიმ კარდაშიანი პაპარაცების კამერის ობიექტივში პლიაჟზე დასვენების დროს მოხვდა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ამერიკული გამოცემა ავრცელებს. 42 წლის ტელევარსკვლავი კუნძულებზე ტერკსა და კაიკოსზე დასვენების დროს შენიშნეს, რა დროსაც ის Chanel-ის ბრენდის ვარდისფერ ბიკინიში იყო გამოწყობილი.

აღსანიშნავია, რომ მოდის სახლის მონოგრამიანი საცურაო კოსტიუმი 1990-იანი წლების კოლექციაში შედიოდა, ხოლო მისი ფასი 6.900 დოლარს შეადგენს.

კადრებში ჩანს, თუ როგორ ცურავს ოკეანეში კარდაშიანი, უკან შეკრული თმებით. ამასთან, მას სახეზე მაკიაჟი არ აქვს და ამშვენებს რამდენიმეჯვრიანი ყელსაბამი და ზამბახის ფორმის საყურეები.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ჯოსვოხდი ↘

შვეულად: 1. ღვინის წარმოების და ვაჭრობის ცენტრი ბურგუნდიაში; 2. სიყვარულის, სილამაზის ღვთაება რომაულ მითოლოგიაში; 3. ნივთიერება, რომელსაც უმატებენ მადანს ბრძმედში დნობის დასაჩქარებლად; 5. გერმანელი ნეირობიოლოგი, ბაქტერიოლოგიისა და ეპიდემიოლოგიის ფუძემდებელი; 6. ალბერტო მორავიას რომანი; 8. თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული მონასტერი; 11. ოსური ხაჭაპური; 13. მარნეულის ძველი სახელწოდება; 14. პროფესორ-მასწავლებელთა გაერთიანება უმაღლეს სასწავლებელში; 15. ყვავილების კონა; 19. ყაჩაღის სახელწოდება ძველად საქართველოში.

თარაზულად: 1. პოპულარული ზღვისპირა კურორტი ხორვატიაში; 4. ტყის კაცი ქართულ მითოლოგიაში; 7. ჩინეთსა და შორეულ აღმოსავლეთში გავრცელებული ბალახოვანი სამკურნალო მცენარე; 9. თავადაზნაურთა წინამძღოლი ძველად საქართველოში; 12. თაობიდან თაობაზე გადაცემული ისტორიულად ჩამოყალიბებული წეს-ჩვეულებათა ერთობლიობა; 16. ფქვილით, ხახვით, ძმრითა და კვერცხით შეზავებული ქათმის წვნიანი კერძი; 17. მოყვითალო ფერის, ფუტკრის მსგავსი მწერი; 18. კუთხე საქართველოში; 20. ძველი ქართული დამწერლობა; 21. დედათა მონასტერი ფარავნის ტბის მახლობლად; 22. ყველაზე წვრილი ფული ბრიტანეთში.



შეადგინა თ.კოპალეიშვილმა